ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველო

ეროვნელი თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 8 (35) 23 აპრილი, სამშაბათი 1991


საქართველოს ისტორიას ახსოვს ისეთი მესვეურნი ერისა, პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასაც რომ ეწეოდნენ, პოეზიის ღმერთსაც რომ სწირავდნენ ზვარაკს. მეფე-პოეტები და დიდი მწიგნობარნი იყვნენ დავით აღმაშენებელი თუ დემეტრე, თამარი, თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ VI და სხვანი. მერმე სხვაგვარად წავიდა საქმე. 1921 წლის შემდეგაც გვყავდნენ ჩვენი „ხელმწიფეები", მაგრამ „კომკავშირულ ინკუბატორში" გამოზრდილი პარტიული პირველკაცები არათუ ლექსს დაგიწერდნენ, პოეტად სახელდებას პირად შეურაცხყოფად აღიქვამდნენ.

დღეს შეწყვეტილი ტრადიცია კვლავ აღსდგა, არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ნაცვლად კრემლიდან თავსმოხვეული, ნაცვლად „ყარაყორუმიდან" მოვლინებული მმართველისა, თავისი კანონიერი პრეზიდენტი ჰყავს, არამედ იმ მხრივაც აღორძინდა ტრადიცია, რომ ივერიას თავკაცობს დიდებული მწიგნობარი, მეცნიერი და პოეტი.

# ვულოცავთ ბატონ ზვიად გამსახურდიას დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტად არჩევას!


საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი



## ზვიად გამსახურდიას

ბრძოლა ბევრი გადიხადე,
ბევრიც გადასახდელია...
თუმც მოყვარე მრავლადა გყავს,
მტერიც ბევრი გახვევია;
უაზროა ბედის მდურვა,
ეს ყოფილა შენი ბედი...
დახვალ „ლალი და უკადრი",
„მაღალი და მაღლად მხედი";
სხვა რამ ჰირი არად გიჩანს
საქართველოს ჰირდაჩენილს...
ბრძოლა არის შენი ყოფა,
ბრძოლა ხსნის და გადარჩენის;
ამ ბრძოლებში შემოგაცვდა
ბავშვობა და სიჭაბუკე...
ამ ბრძოლებმა დაუხატა
ქართველს შენი ხატი უკვე;
ბრძოლა არის შენი ყოფა,
ბრძოლა არის ქინი შენი...
ქინი ეგე მოგდგამს უფლით
და უკვდავი, მძლავრი გენით;
ეგ უკვდავი გენი გაძლევს
ბრძოლისათვის ძალას ულევს...
ბრძენიც ხარ და გამორჩევაც
იცი სწორედ „ბრძენთა თქმულებ".
საქართველოს ხსნის ქინისგან
მოგცემია ცეცხლის დება...
უფალს მრავალს შევსთხოვ შენდარს
საქართველოს სადიდებლად!

ბელა შალვაშვილი.
თბილისი 21.05.89 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგანგაშო არაფერია?!

**შარშან,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ სესიაზე მთავრობისა და პირადად მისი მწვავე კრიტიკით გამწარებულმა ნიკოლოზ რიჟკოვმა საოცრად წინასწარმეტყველური ფრაზა წამოისროლა: თქვენ კიდევ მოგვიგონებთ, მოგენატრებათ ეს მთავრობაო!

სსრკ-ს ახალმა პრემიერ-მინისტრმა ვალენტინ პავლოვმა თავისი „ბრძნული მოღვაწეობით" მართლაც ბევრს მონატრა რიჟკოვი. 50 და 100 მანეთიანი კუპიურების „ამოღების" „ოპერაცია" არ ჰქონდა ხალხს გადატანილი, და მოყოლებით ახალი, უმძიმესი ოპერაცია ჩაუტარა „ფასების რეფორმის" სახით.

საბჭოთა ხელისუფლება, და კერძოდ, პავლოვი რისი პავლოვი იქნებოდა, ეს „რეფორმა" რომ არ გაემართლებინა, ლამის ხალხზე ზრუნვით არ აეხსნა. რამდენიმე ხნის წინ, გაფიცულ მაღაროელთა წარმომადგენლებთან შეხვედრისას იგი პურზე ფასის ოთხჯერ „გარეფორმებას" ამგვარად „ხსნიდა": ნამეტანი ბევრს აჭმევდნენ საქონელს, ნამეტანი ბევრს ყრიდნენ, აბა ახლა მოიქცნენ ასე, თუ ბიჭები არიანო! და საერთოდ, ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნებაო! — დაამშვიდა ხალხი.

მაგრამ პავლოვს „რას ვერჩით", როცა აგერ, ჩვენში, საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ბატონი მურმან გედენიძე არანაკლებ „ლოგიკურად" გვაყენებს საქმის კურსში, არანაკლებ ლოგიკურად „გვამშვიდებს".

გაზეთ კაბადონი-8"-ის 4 აპრილის ნომერში დაბეჭდილ ინტერვიუში ბატონი მურმანი შენიშნავს: **„ფიქსირებული და რეგულირებადი ფასების დასაბული ზრდის პირობებში თავისუფალი ფასების, ასე ვთქვათ, უსაშველოდ ზრდას არ უნდა ველოდეთ. ამას გარდა, ცხადია, როგორც ყველა ცივილიზებულ /საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ჩვენთანაც გამოყენებული იქნება დამცავი მექანიზმი, კერძოდ, აქ იგულისხმება ე. წ. ზემოგების ამოღება ბიუჯეტში, დაბეგვრის სისტემა და სხვა ანტიმონოპოლისტური ღონისძიებები".**

ფასების უსაშველოდ ზრდას არ უნდა ველოდეთო, — იმედიანად ბრძანებს ბ-ნი მ. გედენიძე. ვაი, რომ ეს ზრდა უკვე მოხდა (მეტი უსაშველობა რაღა უნდა იყოს, როცა **800 გრამი პური მანეთი და 20 კაპიკი ღირს!).**

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ეკონომიკის მინისტრს „დამცავ მექანიზმად" (მოსახლეობის ფართო ფენების დამცავ მექანიზმად) „ზემოგების ამოღება ბიუჯეტში, დაბეგვრის სისტემა და სხვა ანტიმონოპოლისტური ღონისძიებები" მიაჩნია (ეს იმას ჰგავს, გაძარცვული ადამიანი რომ „დაამშვიდო" — ნუ გეშინია, რაც წაგართვეს, იქიდან მძარცველებს აუცილებლად გადასახადს გადავახდევინებთო). შეიძლება თქვან, ეს ზემოგება და სხვა „ანტიმონოპოლისტური ღონისძიებების" შედეგად ამოღებული თანხები „ფართო ფენებს" მოხმარდებაო, მაგრამ რომ არ ამბობს ამას პატივცემული მინისტრი?! და საერთოდ, ალბათ, მეტი გარკვეულობა და სიცხადე, „გაშიფრვაა" საჭირო „და სხვა ანტიმონოპოლისტურ ღონისძიებებზე" საუბრისას (კაცს რომ არ ეგონოს, არიქა, უკვე მონოპოლისტური გაერთიანებები შექმნილა საქართველოში და აბა იმათ ხელში კარგი რა დაგვემართებოდაო!).

ერთ კარგ, სასიამოვნო ახალ ამბავს მაინც ვიგებთ ამ „უსიამოვნო" პასუხიდან. თურმე, თუ უკვე არ ვქცეულვართ, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში მაინც ვიქცევით **„ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნად"** („ამას გარდა, ცხადია, როგორც ყველა..."). „დამცავი მექანიზმიც" თუ ისეთი გვექნა, როგორიც საბაზრო ეკონომიკა „გვაქვს" (ან უახლოეს მომავალში „გვექნება") მართლა კარგად ყოფილა ჩვენი საქმე!

**„...შექმნილი მდგომარეობის მიზეზი ისიც არის,** — აღნიშნავს ბ-ნი მინისტრი, — **რომ ბოლო წლებში მოსახლეობის ფულადი შემოსავლები უკონტროლოდ, შეიძლება ითქვას, სტიქიურად და მაღალი ტემპებით იზრდებოდა. ამით ბრუნვაში არსებული ნაღდი ფულის მასა მოწყდა სასაქონლო მასას და რა მდგომარეობამდეც მიგვიყვანა, კარგად ვხედავთ".**

ძნელი არ არის, დავინახოთ, რომ მართლაც უმძიმეს მდგომარეობამდე „მიყვანის" ეს **„ახსნა"** კრემლის ხელისუფალთა, ვ. პავლოვის იმ **„თეორიის"** გადამღერებას წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც აღნიშნული მძიმე მდგომარეობის შექმნაში მთავარი და ლამის ერთადერთი დამნაშავე „მოსახლეობის ფულადი შემოსავლების" ზრდაა.

ჯერ ერთი, საინტერესოა, რომელი **„მოსახლეობის"** ფულადი შემოსავლები იზრდებოდა „უკონტროლოდ, შეიძლება ითქვას, სტიქიურად და მაღალი ტემპებით"? თუ ამ შემოსავლებში **ხელფასები** იგულისხმება, აბა, ვინ დაიჯერებს, რომ ასე „საშინლად" იზრდებოდა იგი „ბოლო წლებში"! ცალკეულ პირებს შეიძლება მართლაც გაეზარდათ ასე დამანგრევლად, მაგრამ **მთელ მოსახლეობას?!**

მეორეც — მთავარი ის კი არაა, რომ „ბრუნვაში არსებული ნაღდი ფულის მასა მოსწყდა სასაქონლო მასას", არამედ ის, რომ ეს „სასაქონლო მასა" **არ (ვერ) იწარმოება საჭმარისი რაოდენობით** (აღარაფერს ვამბობ უმთავრეს მიზეზებზე, „დამნაშავეებზე" — „წარმოების სოციალისტურ წესზე", „საზოგადოებრივ საკუთრებაზე", „ცენტრალიზებულ, გეგმურ ეკონომიკაზე და ა. შ.). ხოლო „ნაღდი ფულის მასა იმიტომ მოწყდა სასაქონლო მასას", რომ ბრუნვაში განუწყვეტლივ შემოდიოდა (შემოდის) მართლაც უკონტროლოდ, სტიქიურად და მაღალი ტემპებით მოჭრილი ფულის ნიშნების **ახალ-ახალი „მასა".**

მეტისმეტად საბჭოურ-„ცენტრისტულად" ჟღერს ბ-ნი მინისტრის ამგვარი განცხადებაც:

**„სრული კომპენსაცია გათვალისწინებულია მხოლოდ პირველადი მოთხოვნილების ძირითად პროდუქტებზე და საქონელზე. ამდენად ცხადია, რომ ცხოვრების დონე, გარკვეულად მართლაც დაეცემა. მაგრამ, ვფიქრობთ საგანგაშო არაფერია, ადამიანები გაგებით უნდა შეხვდნენ რეფორმას და დროებით სიძნელეებს, მით უფრო, რომ ფასების ზრდასთან ერთად ამოქმედდება კომპენსაციისა და სოციალური დაცვის მექანიზმი".**

როგორც ვხედავთ, პირველადი მოხმარების ძირითად პროდუქტებზე და საქონელზე თურმე სრული კომპენსაცია ყოფილა გათვალისწინებული! საოცარია, თვეში ერთხელ ხელფასზე 60 მანეთის დანამატმა როგორ, რა მანქანებით უნდა გასწიოს პირველადი, ყოველდღიური მოხმარების **ათობით** პროდუქტ-საქონელზე **100-200-300 პროცენტით გაძვირების** (რასაც, რატომღაც, „მოფერებით" „ფასების რეფორმას" ეძახის ჩვენი მინისტრი!) კომპენსაცია?! ხოლო თუ როგორ ესმის, რა შინაარსს სდებს ბ-ნი მინისტრი „სოციალური დაცვის მექანიზმში", ეს უკვე ვნახეთ.

და ყოველივე ამის შემდეგ თურმე, ჩვენი ცხოვრების დონე მხოლოდ „გარკვეულად დაეცემა" (თითქოს აქამდე არ იყო დაცემული!)! ამიტომაც, რასაკვირველია, „საგანგაშო არაფერია" და გაგებით უნდა შევხვდეთ რეფორმას და „დროებით სიძნელეებს" (ისევ „დროებითი სიძნელეები"!/! მით უფრო, რომ კითხვაზე — **„კომპენსაციის სახით რომ მაინცდამაინც 60 მანეთია დაწესებული და არა, ვთქვათ, 70 ან 80, თუა ამაში რაიმე განსაკუთრებული?"** — ამგვარ, „მეცნიერულ" განმარტებას იძლევა მინისტრი:

**„— დასახელებული და სხვა ციფრები შემთხვევითი არ არის, ეს ყველაფერი რთული მათემატიკური გამოთვლების შედეგია და ციფრი — სამოციც ოპტიმალურად არის შერჩეული"...**

აბა, „რთული მათემატიკური გამოთვლების შედეგს", „ოპტიმალურად შერჩეულ ციფრს — სამოცს" როგორ არ უნდა დავუჯეროთ?! ასე რომ, საგანგაშო მართლაც „არაფერია"..

ეს ინტერვიუ, მსჯელობა, როგორც იტყვიან, სასაცილო იქნებოდა, „საგანგაშო" რომ არ იყოს, მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი სავსებით სერიოზულადაა ნათქვამი. ამასთან, სამწუხაროა არა იმდენად როგორც ასეთი, (ამისთანები მოგვისმენია?!), რამდენადაც ის, რომ ესოდენ **საბჭოურად** მსჯელობს, „ასაბუთებს" **„რეფორმის" „ცენტრისტული" ფორმით განხორციელების აუცილებლობას საქართველოს ეკონომიკის მინისტრი,** პიროვნება, რომელიც მოწოდებულია, ჯერჯერობით მაინც (ობიექტური ვითარების გამო) წინ თუ ვერ აღუდგება, **არ გაამართლოს, „მათემატიკურად" არ „დაასაბუთოს"** მაინც „ცენტრიდან" წამოსული „ფასების რეფორმის" მსგავსი დრაკონული ღონისძიებანი, **თვალში ნაცარი არ შეაყაროს საკუთარ ხალხს!..**

**ფელიქს კოჭიაშვილი**




**რომან ქარქუსაშვილის** ნახატი.

# ოსური უმადურობა

**დიდებული** ანდაზა გვაქვს ქართველებს: მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაივლი და წინ დაგხვდებაო. ჩვენს წინაპართა დიდი ცხოვრებისეული სიბრძნე ძევს ამ სიტყვებში, საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობაზე გადმოცემული.

ჭეშმარიტებას ღაღადებს ეს ანდაზა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება თურმე... ხდება პირიქითაც, როცა ქვაზე დადებული სიკეთე უკანვე ნასროლ ქვად გიბრუნდება.

ამის საკმაო გამოცდილებაც გვაქვს ქართველებს. უმადურობის ბევრი მაგალითი მოიძებნება ჩვენს ისტორიაში, მაგრამ ოსთა უმადურობას მაინც ვერ შეედრება ვერცერთი.

აგერ, ორი-სამი საუკუნის უკან ჩამოხეტებული ეს გადამთიელები, ჩვენეული გულღიაობითა და სტუმართმოყვარეობით მიღებულნი ქართულ მიწაზე, ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საუკეთესო და უტყუარ კოზირად იქცნენ რუსთა ხელში.

ჯერ იყო და, ოსთა ნახევრად ველური ტომები წლების მანძილზე იკლებდნენ, ძარცვავდნენ, აწიოკებდნენ ქართველ მებატონეთა და გლეხთა კარ-მიდამოს, თუმცა ხშირად უკუიქცეოდნენ მწარედ დამარცხებულნი.

მერე კი, ქურდობასა და ძარცვა-გლეჯვაში ხელგაწაფული ალანოსები ბოლშევიკებმა წააქეზეს და დემოკრატიულ, დამოუკიდებელ საქართველოს დაუპირისპირეს და აქაც ოტებულნი იქნენ ეროვნული გვარდიის მიერ.

რუსთა მიერ ჩვენი მამულის დაპყრობის შემდეგ ქვეგამხედვარმა კომუნისტებმა ოსთა ავტონომიაც შეგვიქმნეს, უფრო სწორად, შენელებული მოქმედების ბომბი შემოგვიგდეს, რომელიც იმპერიას საჭიროებისამებრ მოყავს მოქმედებაში.

ღვარძლიანი გული და ავი მახსოვრობა ნამდვილად არა გვაქვს ქართველებს (თუმცა, ხანდახან, კი ყოფილა საჭირო).

ამიტომაც იყო, რომ მრავალჯერ ჩვენი სისხლის დამქცევი უცხო მოდგმის ხალხი ისევ ვიძმეთ, მოყვრულად დავუდექით და გული გადავუშალეთ — ოსური სკოლები, ინსტიტუტი, თეატრი, გაზეთები, გამომცემლობა გავუხსენით, მეცნიერებისკენაც გავახედეთ და არაერთი მათი ჯილაგისანი დავაფრთიანეთ სამეცნიერო გზებზე (მერე რომ ისევ ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენეს). მოკლედ, ისე მოვეპყარით, როგორც სახლიკაცს ექცევიან ჩვენში.

მაგრამ, ანდაზისა არ იყოს, კუზიანს მხოლოდ სამარე თუ გაასწორებს, ან დიდი რუსთაველი რომ მოვიშველიოთ: „ავსა კაცსა ავი სიტყვა, ურჩევნია სულსა, გულსა".

არ მოიშალეს ოსებმა ავი საქმენი. ჩვენს პატივისცემას წიხლი, ჩვენს ძმურ სიტყვას დედის გინება, ჩვენს გადაშლილ გულს მოშხამული ლახვარი დაახვედრეს.

ბევრი მეგობრული რჩევით, კეთილი შეგონებითა და ურთიერთმიმტევებლობის თხოვნითაც მივმართეთ ოსებს ამ დღეებში (ვგულისხმობ სამაჩაბლოში ოსთა ალვირახსნილი პარპაშის დღეებს. მაგრამ დღითიდღე უფრო თავხედობენ ისინი: გვიბილწავენ ყოველივე ქართულს, გვიკლავენ ქართველ ვაჟკაცებს, ჩვილებს, გვიუპატიურებენ ქალებს, ცოცხლად გვიწვავენ ჩვენ ძმებს, გვინგრევენ ეკლესია-მონასტრებს, ანიავებენ ქართველთა სარჩო-საბადებელს, წვავენ სახლებს...

შაჰ-აბასი, თემურ-ლენგი, მურვან-ყრუ, აღა-მაჰმად-ხანი და სხვა მომხდურნიც იგივეს გვიკეთებდნენ.

მე აქ შეგნებულად არ ვხმარობ სიტყვა „ექსტრემისტს". როცა მოვლენები ისე ვითარდება, როგორც შიდა ქართლში, ეს ექსტრემიზმი არაა. ეს უფრო ოსი ერის შეგნებულ ამხედრებას ჰგავს ქართველთა წინააღმდეგ. ამით იმისი თქმა მინდა, რომ თუ არა ოსი ერის ჩუმი თანხმობა და გულისწადილი, ეს ამბები ასეთ ხასიათს ვერ მიიღებდა.

გვიპირისპირდება ოსი ერი — მთის აქეთაც და მთის იქითაც, რომელთაც, ეტყობა, დიდი სურვილი ამოძრავებთ ჩვენი მიწების მიტაცებისა და ალბათ, ამის განხორციელების მომენტს სწორედ ახლა ხედავენ.

ამიტომ, დროა საგნებს თავისი სახელი დავარქვათ, — მტერს მტერი ვუწოდოთ, მოყვარეს — მოყვარე.

დღეს ოსები ჩვენი მტრები არიან! ასეთია სამწუხარო ჭეშმარიტება!

ერთი ფაქტი ამის დასტურად: „ნეზავისიმაია გაზეტას" ა. წ. 11 აპრილის ნომერში დასტამბულია ინტერვიუ სსრკ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრთან, ამჟამად უშიშროების საბჭოს წევრთან ვადიმ ბაკატინთან, რომელიც პირდაპირ აცხადებს: **„...მე თქვენ გეტყვით, რომ სიტუაციას ცხინვალში ძალზე ამწვავებს ჩრდილოეთ ოსეთი. აი, მაგალითიც: ჩრდილოეთ ოსეთიდან მოდის დეპეშა, სადაც სთხოვენ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს, სასწრაფოდ შემოიღოს სამხედრო მდგომარეობა თითქმის მთელ საქართველოში. რატომ? რა ხდება? რა და, ქართველებმა გადაწყვიტეს ყველა ოსი გაასახლონ თბილისიდან. მე არ მჯერა, ეს სისულელეა, ვინ მიიღო გადაწყვეტილება? ამის შესახებ დეპეშაში არაფერია ნათქვამი. ვამოწმებ და აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი მტკნარი სიცრუეა".**

რუსთა იმედი აქვთ ოსებს. ამას არც მალავენ. ეს აშკარად გამოჩნდა ამ ბოლო დღეებში, როცა უკვე ერთად დათარეშობენ რუსი ჯარისკაცები და ოსები ქართულ სოფლებში. რუსთა დუდუკზი ცეკვავენ ოსები, მაგრამ ის რატომ არ აგონდებათ. რომ ჩრდილოეთ ოსეთში მათი მოძმენი, რუსულად რომ ვთქვათ, „ПОГОЛОВНО" გარუსდნენ? იქნებ ასეც ურჩევნიათ, რახან ასე თავგადაკლულად ცდილობენ იმპერიის მარწუხში ყოფნას? ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

ერთი წერილის ნაწყვეტიც მინდა მოვიყვანო ოსთა გასაგონად (იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ გონივრულ პოზიციაზე დგას), რომელიც 1813 წლის 30 მარტს მიუწერია ქართველთა ბატონიშვილს ალექსანდრეს ოსი აზნაურებისადმი — მირზაბეგ თულათისშვილისადმი და დუდავ მასურიშვილისადმი: **ქ. მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ თულათისშვილო მირზაბეგ და მასურისშვილო დუდავ. მერმეთ ვიცით ჩვენს ვითარებას იკითხავთ. ღვთის მოწყალებით მშვიდობით ვიმყოფებით. ახლა თქვენც კარგად იცით, რომ რუსთ ჩვენი ოჯახი როგორ დაამხეს, და თუ ჩვენ ასე გვიყვეს ჩვენზედ დაბალს ოჯახს რას უზმენ? თქვენ ჭკვიანი კაცნი ბრძანდებით, კარგად უნდა იფიქროთ მაგათის ამ ქვეყანაში დათესლებას ბოლო რა მოსდევს ან თქვენთვის და ან ჩვენთვის".** (ხაზგასმა ჩემია. ს. ჯ.).

შესანიშნავი წინასწარმეტყველებაა იმისა, თუ რა შედეგი ექნებოდა ოსთათვის რუსთ „დათესლებას". ეს კარგად ჩანს ჩრდილოეთ ოსეთის მაგალითზე.

ჰირთა მთმენი ხალხი ვართ ქართველები, ბევრი ვიცით მოთმინება, ვიცით მიტევებაც... მაგრამ, როცა გაუსაძლისი ხდება შენს მიწაზე მოყვრულად მიღებული უმადური გადამთიელის მიერ მიყენებული ხორციელი და სულიერი ტკივილი, მაშინ ხელის აღმართვაც ვიცით მტერსა ზედა!..

მიუხედავად შემდგომი განთულებებისა, სრულიად სწორი განლდათ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.

მოსაკვეთი უნდა მოიკვეთოს!

**სერგო ჯანაშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა






# ილია და არჩილ ჯორჯაძე

## თემურ მირიანაშვილი

უკანასკნელ დროს რამდენიმე მკვლევარმა სცადა არჩილ ჯორჯაძის გამოცხადება ილია ჭავჭავაძის თანამოაზრედ და თანამებრძოლად. ეს მკვლევარნი ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ არ. ჯორჯაძის ეროვნული კონცეფცია არსებითად არაფრით განსხვავდება ილიას კონცეფციისაგან და რომ არ. ჯორჯაძე „ილიას მემკვიდრეა და მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი“.

ციტირებული ფრაზა ეკუთვნის თეიმურაზ მაღლაფერიძეს („არ. ჯორჯაძის ნააზრევი“, წერილი პირველი, „ლიტერატურული საქართველო“, 30. X. 1988 წ.), რომელიც თავის ორნაწილიან სტატიაში კიდევ რამდენჯერმე იმეორებს იგივე აზრს სხვადასხვა ვარიაციით („არჩილ ჯორჯაძე ეროვნული მოძღვრებით ილიასაგანაა „ამოზრდილი“, მის წყაროს თვალსაა დაწაფებული და უეჭველია, მის სულიერ მემკვიდრედ უნდა ჩაითვალოს“. „შედარებით ახალგაზრდა ერისკაცებმა... ათასგვარ ქარცეცხლში გამოატარეს მემკვიდრეობით სათუთად გადმოცემული, ბრძოლებში დაცხავებული დროშა ილია ჭავჭავაძისა და მომავალს უმწიკვლოდ გადაულოცეს. ამ ერისკაცებს შორის, არჩილ ჯორჯაძეს, უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, ბელადისა და ინტელექტუალური მეტრის ადგილი ღირსეულად ეჭირა“).

როგორც ვხედავთ, არ. ჯორჯაძის მოღვაწეობას თ. მაღლაფერიძე უმაღლეს შეფასებას აძლევს (ეს მკვლევარი, ვგონებ, ყველაზე დაჟინებით ამტკიცებს, რომ არ. ჯორჯაძე ილიას „სულიერი მემკვიდრე“ და მისი „საქმის ღირსეული გამგრძელებელია“). სამწუხაროდ, თ. მაღლაფერიძის აზრი არ არის მთლად მართებული. ამაში იოლად დავრწმუნდებით თუ თ. მაღლაფერიძისავე მიერ ილიასა და არ. ჯორჯაძის თხზულებათაგან ამოწერილ ფრაზებს შევადრით ერთმანეთს. სტატიაში ერთგან მოხმობილია ილიას ყველაზე განთქმული გამონათქვამი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“ (სამწუხაროდ, ეს ფრაზა ამჯერადაც, ისევე, როგორც თითქმის ყოველთვის, არასწორად არის ციტირებული). იქვე, გაზეთის იმავე გვერდზე ვკითხულობთ არ. ჯორჯაძის სტრიქონებსაც, რომლებშიც იგი განსაზღვრავს თავის კრედოს: საქართველოს „მიენიჭება ავტონომიური სახელმწიფოს ძალაუფლება. ჩვენ ვამბობთ ავტონომიურ სახელმწიფოს და არა სრულუფლებიან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს, რომლის განხორციელებისკენ არ მივისწრაფვით“. იქვე არ. ჯორჯაძე მსჯელობს ერის განთავისუფლებაზე და განმარტავს: „მაგრამ როგორი იქნება ეს თავისუფლება? იგი უნდა იყოს შინაურად ავტონომიური და ფედერაციული, ე. ი. არა რუსეთიდან გამოყოფა, არა სეპარატიზმი, არამედ ყოფნა და განვითარება მასთან ერთად“.

აშკარაა, რომ ილიასა და არ. ჯორჯაძის ეროვნული სწრაფვები პრინციპულად ურთიერთგანსხვავებულია. არ. ჯორჯაძისათვის ავტონომია საბოლოო მიზანი იყო, ილიასთვის კი მხოლოდ და მხოლოდ — ნაკლები ჭირი; ილია იბრძოდა ავტონომიისათვის რუსეთის იმპერიის პირობებში, რადგან სრული სუვერენიტეტის განხორციელება ცარიზმის დამხობამდე შეუძლებლად მიაჩნდა. ცარიზმის დამხობის შემდეგ კი, როცა ჩაგრულ ხალხებს თვითდამკვიდრების უფლება მიეცემოდა, საქართველო ქართველს უნდა „ყუდნებოდა“ ანუ საქართველო უნდა გადაქცეულიყო იმ „სრულუფლებიან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად“, რომლის განხორციელებისაკენ არ. ჯორჯაძე და მისი პარტია არ მიისწრაფვოდნენ.

ილია და არ. ჯორჯაძე არასოდეს ყოფილან ერთ ბანაკში და არც არავითარი სურვილი გამოუვლენიათ ამისა. ეს გარემოებაც ადასტურებს, რომ ისინი არ იყვნენ თანამოაზრენი.

ილიამ ერთადერთ სტატიაში მოიხსენია თავისი უმცროსი კოლეგა („გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია“, 1902 წ.) და იქაც მწვავედ გააკრიტიკა იგი.

ძალიან საგულისხმოა თედო სახოკიას მოგონება: ფედერალისტებს გაზეთის „საქართველოს“ გამოსაცემად ფული დასჭირვებიათ. თედო სახოკია, კოტე ყიფიანი და ვალერიან გუნია სწვევიან ილიას და უთხოვნიათ, მილიონერ დავით სარაჯიშვილთან გვიშუამდგომლეო. ილია დაინტერესებულა, თუ ვინ ჰყავდათ შერჩეული რედაქტორად. როცა გაუგია, რომ არჩილ ჯორჯაძე, უარი უთქვამს დახმარებაზე, სხვა რედაქტორი გამონახეთო.

რაც შეეხება თვითონ არჩილ ჯორჯაძეს, მას თავისი თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, არასოდეს უკადრია ილიას შეურაცხყოფა, პირიქით, „ძველი თაობის უკეთეს წარმომადგენელს“ (იხ. არ. ჯორჯაძე, თხზ., 1911, ტ. [illegible], გვ. 131) უწოდებდა მას, მაგრამ მიუხედავად ამისა, არსებითად არცერთ პრინციპულ საკითხში არ ეთანხმებოდა ერის წინამძღოლს.

არ. ჯორჯაძის აზრით, ილია იყო „ბურჟუაზიული მოღვაწე“ (იქვე, გვ. 129), რომლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი „დანაშაული“, ყოფილა ისეთი „მავნებელი“ დაწესებულების დაარსება, როგორიც იყო სათავადაზნაურო ბანკი, რომელიც „ეწინააღმდეგება უმრავლესობის, ჩვენი მწარმოებლის ინტერესებს“ და ამიტომ „მავნებელ დაწესებულებად, მავნებელ ზომად უნდა მივიჩნიოთ“ (იქვე, გვ. 122-123).

ასეთ გულუბრყვილო და, ვთქვათ პირდაპირ, მცდარ პოზიციაზე მდგომი მოღვაწის ილიას „სულიერ მემკვიდრედ“ და მისი საქმის „ღირსეულ გამგრძელებლად“ გამოცხადება, არ მიმაჩნია გამართლებულად. მითუმეტეს, რომ არ. ჯორჯაძე სხვა პრინციპულ საკითხებზეც ედავებოდა ილი ჭავჭავაძეს. დიამეტრალურად განსხვავდებოდა მათი შეხედულებანი, მაგალითად, კლასობრივი ბრძოლის პრობლემაზე. ილიას, როგორც ცნობილია, მიაჩნდა, რომ ჩვენს პატარა, კოლონიალურ და ყოველმხრივ ჩამორჩენილ ქვეყანას მხოლოდ ეროვნულ ძალთა საყოველთაო კონსოლიდაციის გზით შეეძლო გადაეჭრა თავის წინაშე მდგომი პრობლემები. ამიტომ უარყოფდა იგი კლასობრივი ბრძოლის იდეას. არ. ჯორჯაძე კი ამ იდეას მხარს უჭერდა. ფედერალისტები სოციალურ ბრძოლას ეროვნულ ბრძოლაზე მაღლაც კი აყენებდნენ (შემთხვევით არ არის, რომ თავიანთი პარტიის სახელწოდებაში გამოიტანეს სიტყვები „სოციალისტური“, „სარევოლუციო“).

ყოველივე ამის აღნიშვნის შემდეგ ლოგიკურია არ. ჯორჯაძის მოწოდება „ნუ შევდრკებით და თამამად გამოვეცალოთ ი. ჭავჭავაძეს იქ, სადაც ჩვენი გზები ერთმანეთს სცილდებიან“ (იქვე, გვ. 131). მათი გზები კი, როგორც ვნახეთ, ქვაკუთხედურ საკითხებში სცილდებოდნენ ერთმანეთს.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აქამდე მხოლოდ იმას მივაპყრობდით ყურადღებას, რაც ილიასა და არ. ჯორჯაძის ნააზრევებში ურთიერთგანსხვავებულია. მათ შორის კი არსებობს დამთხვევებიც, არ. ჯორჯაძის ნააზრევი და ნამოღვაწარი შეიცავს მნიშვნელოვან პოზიტიურ მხარეებსაც.

დიდ პატივისცემას არჩილ ჯორჯაძე, სხვა რომ არა იყოს რა, თავისი უსაზღვრო პატრიოტიზმისთვის იმსახურებს. მისი ბედი ისე მოეწყო, რომ ბავშვობიდან სრულიად მოსწყდა მშობლიურ ნიადაგს: ძალზე დიდხანს ცხოვრობდა უცხოობაში, თითქმის სრულიად დაავიწყდა დედაენა, ქართული წეს-ჩვეულებანი. საკმაოდ მოწიფულ ასაკამდე — თითქმის ოცდაათ წლამდე, მისივე აღიარებით, სიტყვა „სამშობლო“ მის გულისყურს სრულიად არაფერს ეუბნებოდა. თავისი თაობის მრავალი წარმომადგენლივით ისიც მთელი კაცობრიობის აყვავებაზე ოცნებობდა, დედამიწის პატარა კუთხე კი, რომელსაც საქართველო ჰქვია, ანგარიშგასაწევად არ მიაჩნდა.

მაგრამ შემდეგ ერთბაშად შეეცვალა აზრი. სამშობლოში დაბრუნდა. გაიხსენა დედაენა, შეისწავლა ჩვენი ისტორია, კულტურა, ღრმად გაეცნო ქართულ აზროვნებას და თავისი ხანმოკლე სიცოცხლის ათწლეულზე მეტი საქართველოს აყვავებაზე ფიქრსა და ზრუნვას შეალია.

არჩილ ჯორჯაძემ უდიდესი სამსახური გაუწია ერს თავისი მეცნიერული მოღვაწეობითაც და ზნეობრივი მაგალითითაც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნაზე გამოსულ მოღვაწეთაგან მხოლოდ არ. ჯორჯაძესა და მის უახლოეს თანამოაზრეთა მცირერიცხოვან ჯგუფს არ მიაჩნდა ეროვნული პრობლემა მეორეხარისხოვნად, უმნიშვნელოდ. თ. მაღლაფერიძის სტატიაში მოტანილია დიდი ივანე ჯავახიშვილის მანამდე გამოუქვეყნებელი პირადი წერილი არ. ჯორჯაძისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „თქვენს გარდა ჩვენში არავინ იკვლევს ჩვენი ერის საზოგადოებრივი და ეროვნული მოძრაობის ისტორიას და თქვენი თხზულებები ამ მხრივ პირდაპირ ფასდაუდებელია“.

უდიდესი ამაგი დასდო არ. ჯორჯაძემ პატრიოტიზმის, ეროვნული სიამაყის გრძნობის გაღვივებას თანამედროვეთა გულებში. ნუ დაგვავიწყდება, რომ იმხანად ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი დედაენას თაკილობდა, ესირცხვებოდა ქართველად თავის მიჩნევა. ესეთ ვითარებაში არჩილ ჯორჯაძე დაუღალავად უწევდა პროპაგანდას საქართველოს გმირულ ისტორიას, ქართულ ენას, წინაპართაგან შექმნილ მაღალ კულტურულ და ადამიანურ ფასეულობებს და ილიასთან, აკაკისთან, ვაჟასთან, რამდენიმე სხვა დიდ მამულიშვილთან ერთად არჩილ ჯორჯაძის დიდი დამსახურებაც არის, რომ მომდევნო თაობათა ქართველების წარმოდგენით სამარცხვინოდ ითვლება არა ერთგულება დედაენის, ეროვნული ფასეულობების და ტრადიციებისა, არამედ მათი უარყოფა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ თ. მაღლაფერიძის შემდეგ მოსაზრებას: „სოციალისტ-ფედერალისტ არჩილ ჯორჯაძის ეროვნული კონცეფცია გაცილებით ახლობელი და მისაღებია ჩვენთვის, XX საუკუნის ოთხმოციანი წლების ქართველებისათვის, ვიდრე სოციალ-დემოკრატ ნოე ჟორდანიას ნააზრევი ამავე საკითხზე“.

არჩილ ჯორჯაძე სამუდამოდ შევიდა ქართული კულტურის ისტორიაში, როგორც დიდი დამსახურების მქონე ჭეშმარიტი მამულიშვილი, მაგრამ აქვე ვაღიაროთ, რომ თუ მის შეხედულებებს ილიას მოძღვრების ფონზე განვიხილავთ, უსათუოდ თვალში გვეცემა არჩილ ჯორჯაძის არსებითი ხარვეზებიც: ეროვნული სუვერენიტეტის იდეის უარყოფა, კლასობრივი ბრძოლის ქადაგება გაპარტახებულ ქვეყანაში, რომლის უმთავრესი ამოცანა იყო დაუძლურებულ, დაშრეტილ ეროვნულ ძალთა სრული და საყოველთაო კონსოლიდაცია, შეკავშირება. არჩილ ჯორჯაძის ნააზრევის ჩრდილოვანი მხარეა მისი გალაშქრება სათავადაზნაურო ბანკის წინააღმდეგ, რომლისგან გაღებული სახსრებითაც სული ედგათ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, თეატრს, სკოლებს და სხვა ეროვნულ დაწესებულებებს. არჩილ ჯორჯაძის კონცეფციის ნაკლი იყო აგრეთვე ილიას ღვაწლის ბოლომდე ვერგაგება; მისი „ერთიანი ერის“ თეორიის მიჩნევა მჩაგვრელთა, ბურჟუაზიის იდეოლოგიად.

და მაინც არჩილ ჯორჯაძის ეროვნული კონცეფცია იმდენად ამაღლებულია მისი მთავარი ოპონენტების (ნ. ჟორდანიას, ფ. მახარაძის) შეხედულებებზე, რომ მან სიცოცხლეშივე მოიპოვა საყოველთაო სახალხო აღიარება და სიყვარული. რომ ეს სიყვარული ნამდვილად დიდი და საყოველთაო იყო თუნდაც ამ აქტიდან ჩანს: არჩილ ჯორჯაძის დაკრძალვას დღეს მისი სამარის კართან შეკრებილი მრავალრიცხოვანი საზოგადოება კოკისპირულ წვიმაში დაჩოქილი გამოეთხოვა ძვირფას ცხედარს. ასეთი პატივით საქართველოს ილიას შემდეგ არავინ მიებარებინა მიწისთვის.

ათწლეულების მანძილზე არჩილ ჯორჯაძის სახელი და თხზულებები სრულიად დაუმსახურებლად მივიწყებული იყო. მხოლოდ სულ უკანასკნელ ხანს მოგვეცა საშუალება მის შესახებ წერის, მისი ნაწარმოებების ხელახლად გამოქვეყნებისა. და ეხლა თითქოს ვუზღვიშებთ დიდებულ წინაპარს მრავალწლოვანი დუმილისა და მივიწყებისათვის — ვცდილობთ, მისი ღვაწლის ზედმეტად იდეალიზებას, მის შეცდომებზე თვალის დახუჭვას.

დღეს, როცა ხანგრძლივი მივიწყების შემდეგ არჩილ ჯორჯაძის შემოქმედება დაუბრუნდა ქართველ ერს, როცა დროის სვლასთან ერთად სულ უფროდაუფრო დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს მისი სახელი, შესაძლოა, ვინმეს მოეჩვენოს, რომ არ ღირს მისი კონცეფციის ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე ყურადღების აქცენტირება.

ჩემის რწმენით, ეს პრინციპულად არასწორი აზრია. უკანასკნელ ხანს შეიმჩნევა ტენდენცია, ყველა იმ მოღვაწის იდეალიზაციისა, ვინც აქამდე ოფიციალური პროპაგანდის მიერ დაგმობილი, შერცხვენებული იყო. ერთდროულად, ზოგჯერ გაზეთის ერთსა და იმავე ნომერში შეიძლება შევხვდეთ ეროვნული დემოკრატების ქებასაც, რომელნიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ საქართველოს სუვერენიტეტისათვის და მათი მოსისხლე მტრების, სოციალ-დემოკრატების ხოტბასაც — რომელნიც არამცთუ ეროვნული სუვერენიტეტის, არამედ ავტონომიის იდეასაც კი უარჰყოფდნენ, ხოლო მათს ერთ-ერთ ლიდერს ნ. ჟორდანიას საქართველოსთვის კულტურული ავტონომიის მინიჭებაც კი სადისკუსიოდ მიაჩნდა.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველ ერს წინ უდევს უდიდესი და ურთულესი გზა. სამომავლო გეგმის შესამუშავებლად კი, პირველყოვლისა საჭიროა, წარსულის აბსოლუტურად ობიექტურად გააზრება.

ყოველგვარი შელამაზება იმისა, რაც იყო ან ვისიმე ღვაწლის გადაჭარბებით შეფასება, ანდა პირიქით, — დაკნინება ნიშნავს სიმართლის დაფარვას. ეს კი ყველაზე საშინელი რამ არის. მხოლოდ სრული სიმართლით აღჭურვილ ერს შესწევს გამარჯვების ძალა.

საქართველო

# რეპორტაჟი საპატიმროდან

ლელა კოდალაშვილი

## წერილი მეორე

ქსანში მხოლოდ ერთ პატიმარს შევხვდი. იგი მრავალი წელია სასჯელს იხდის და ბუნებრივია, სხვებზე უკეთ იცნობს ადგილობრივთა ყოფა-ცხოვრებას. თუმცა, თვითონ მას მოვუსმინოთ.

— აქ კოლონიაა და ზოგი გაქცევაზე იფიქრებს და ზოგი იმაზე, როგორ მოიხადოს სასჯელი და ოჯახს დაუბრუნდეს. გულში ვის რა უდევს და როგორ მეთოდს გამოიყენებს ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ვინ რა იცის. ისე, ჩვენი საზოგადოება, ვერაა იმ ზომამდე ჩამოყალიბებული, რომ დამნაშავეებს ცოტა სხვა თვალით შეხედოს. გულგრილები გავხდით; განა მარტო საზოგადოება, ჩვენ, პატიმრები გავხდით გულგრილები ერთმანეთის მიმართ. პრობლემები ბლომადაა. იქ, ველაცა ავჭალიდან რომ გაიქცა, აქ რეჟიმს გვიმკაცრებენ, თითქოს ამით რაიმე გამოსწორდება. რატომღაც ჰგონიათ, რომ აქ ისახება ქურდული იდეები და ცდილობენ, რაღაცნაირად ხელი მოგვიჭირონ. იდეა ყველგან განვითარდება, ადგილს რა მნიშვნელობა აქვს. ხელის მოჭერით სასიკეთო არაფერი გამოვა, რადგან ყველა წინააღმდეგობას უკუქმედება ახასიათებს. ჩვენსა და ადმინისტრაციის შორის მეგობრული ურთიერთობაა. თუ ეს დამოკიდებულება გაფუჭდა, ბევრი რამ გაფუჭდება, და ამით ვერავინ ვერ მოიგებს. თუმცა, ჩვენ არ გვავიწყდება ვინ ვართ და, რა თქმა უნდა, არც მათ ავიწყდებათ. დღეს ფულის კეთებას ვერავის ვერ გადააჩვევ, და გინდაც გადააჩვიო, ორას მანეთზე იცხოვრებს ადამიანი? რა გარემოშიც ცხოვრობს კაცი, იქიდან ითვისებს რაღაც-რაღაცეებს. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი ადამიანი გავა აქედან, დანაშაული მაინც მოხდება გარეთ. თუნდაც ამნისტია, მთელ საქართველოს რომ ჰგონია, დიდი ამბავი მოხდაო; აგერ ხუთი წელიწადია ზის კაცი, ერთი დღე აკლია სასჯელის მესამედამდე, მას არ ეხება არაფერი და ვინც ხუთი წელი და ერთი თვე ზის, იმას იმ დარჩენილი ათი წლიდან უნახევრდება სასჯელი. ე. ი. ერთს, ვინც ორი დღით გვიანაა დაჭერილი, არაფერს აკლებ და მეორეს — ხუთ წელიწადს. სადაური არითმეტიკაა, არ მესმის. ამაში ზვიად გამსახურდია არაფერ შუაშია, ყველაფერს როგორ გაწვდეს, იურისტები რომ ჰყავს გვერდში, გააკეთონ თავიანთი საქმე. მოკლედ, მოუმზადებელი ამნისტია იყო, ნაჩქარევი. ტანჯულს და გაჭირვებულს უნდა დახმარება, მათ უკან ოჯახებია, ცოდონი არიან; მით უმეტეს, კორუფციის პირობებში დაჭერილი ხალხია ძირითადად. გზას აცდენილი ადამიანები უფრო უნდა გვეცოდებოდნენ. უნდა ავიდეს ჩვენი შეგნება აქამდე. თუ მართლა გამოუსწორებელ „პრისტუპნიკად" არის კაცი დაბადებული, ის ყოველთვის გააკეთებს იმას, რაც მას მიაჩნია სწორად. ფილმი თუ გახსოვს, „ორნი ქალაქში", იქ ძმაკაცები არიან ადმინისტრატორი და პატიმარი. აქ, ჩვენს სისტემაში ცოტა არ იყოს, ზედმეტი სიახლოვის ეშინიათ. ხომ იცით, „ესესერში" როგორაა განვითარებული შიშის სინდრომი, „Русская болезнь"... ისე, ეს ჩვენი უფროსი კარგი კაცია, უყვარს ურთიერთობები ადამიანებთან, . ასევე, გია კორძაიაც. აგერ ბატონი იურაც... გია რეჟიმის უფროსია ოპერატიულ დარგში, იურა პირადი შემადგენლობის უფროსია, რას იზამ, ყველას ზედამხედველობა სჭირდება თურმე, თვითონ თანამშრომლებსაც. მერე ის თანამშრომლები ჩვენ გვაკონტროლებენ და ჩვენ კი — არავის, ჩვენი თავის გარდა, და ვცხოვრობთ ასე, ერთმანეთის კონტროლში... — ასე დაასრულა საუბარი ერთ-ერთმა განსაკუთრებით საშიშმა რეციდივისტმა, რომელსაც, სულ ცოტა, ოცი წელიწადი აქვს გატარებული ციხეებსა და კოლონიებში.

ქსნის ტუბ-ზონა. ისევ კოლონიის უფროსით ვიწყებ.

**ვლადიმერ ვეკუა:** — სამართალში ვაკუუმია. კანონმდებლობა სასწრაფოდაა შესაცვლელი იმ ჰუმანური ნორმების საფუძველზე, რაც ცივილიზაციას წლების განმავლობაში უგროვებია. ჩვენთან ყველაფერი სხვისი კარნახით კეთდებოდა. დადგა დრო, პატიმარს, როგორც მოქალაქეს, შევხედოთ, რომელიც ჩვენთან ერთად იცხოვრებს ხვალ. რომელ გამოსწორებაზეა ლაპარაკი. მაშინ ჩვენ უნდა ვიყოთ უნიკალური დაწესებულება უნიკალური თანამშრომლებით, რომ კაცში, რომელიც ორმოც წელსაა, დავუშვათ, გადაცილებული, და მთელი ცხოვრება იცხოვრა ისე. ახლა უნდა ჩავუნერგოთ, რომ თურმე ასეა საჭირო ცხოვრება. აქ რომ სიბინძურეა დაგროვილი, იმ ცხოვრების ანარეკლია, გარეთ რომ არის: ეს ზოგადად... ახლა კონკრეტულად... თქვენ იცით, როგორი დამოკიდებულება იყო საზოგადოებაში სამართლევი კაცის მიმართ, და რა გასაკვირია, ისინიც ზიზღით შემოგვყურებდნენ. აქ, ჩვენთან ტუბერკულოზით დაავადებულები ცხოვრობენ. ავადმყოფები უმეტესად ეგოისტები არიან, არც გაემტყუნებათ, რომ ჩვენში, როგორც მთავრობის წარმომადგენლებში, მტერს ხედავდნენ. არ გვემორჩილებიან, მკურნალობის კურსს არ იტარებენ, არც ნარკომანიაა იშვიათი მ[illegible] კოლონიაში. თუ პატიმარს ღია პროცესი არა აქვს დაწყებული, უნდა იმუშაოს, მაგრამ სად წავიღოთ ეს პროდუქცია? ადრე ბადურებს ვქსოვდით ხილ-ბოსტნეულისათვის, მაგრამ დეზინფექციას ვერ გაუძლო ($100-140^0$ ტემპერატურაში უნდა გაეტარებინათ). თერმულად უნდა მუშავდებოდეს აგრეთვე საკვების ნარჩენები, უნდა გვქონდეს ბუნკერები, მაგრამ სათანადო ტექნოლოგიის უქონლობის გამო სანეპიდსადგური ამას ვერ აკეთებს. ნარჩენები სადღაც ქსნის მიმდებარე ტერიტორიაზე იყრება და ბაქტერიებს ავრცელებს მთელ რაიონში.

**ალბათ, ამიტომაც, მცხეთის რაიონის მოსახლეობამ საქონელი გაიწყვიტა. დაავადებული საქონელი მოსახლეობასაც აავადმყოფებს. ვფიქრობ, არ არის საჭირო იმის ხაზგასმა, რომ ეს პრობლემა სასწრაფოდ უნდა იქნას გადაჭრილი, მითუმეტეს, ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვი მარტო კოლონიებში არ იზრდება...**

— მკურნალობის ოთხი კურსი ჩავიტარე, — მესაუბრება ერთი პატიმარი — „სვაბოდაზე" ას კილოზე მეტს ვიწონიდი. ახლა სამოცდაორს ძლივს ვაღწევ. კიდევ კარგი, რომ ვმუშაობ (პურის მჭრელად ვარ გაფორმებული სამეურნეო მომსახურეობაში). ვერთობი, თორემ რა გამაჩერებდა. სულ თორმეტი წელი მაქვს მისჯილი. ჯერ ოთხი მოვიხადე მხოლოდ.

**ვლადიმერ ტაბალუა:** — აქ არის ერთი პატიმარი, რომლის ბედი გაურკვეველია. ნარკოტიკების გამოყენებისათვის გაასამართლეს, ამნისტია უნდა შეხებოდა, მაგრამ... თუმცა ჯობია თვითონ მას მოვუსმინოთ...

— 1990 წლის 21 დეკემბრის „მოლოდიოჟ გრუზიაში" დაიბეჭდა ინტერვიუ იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთან — კომახიძესთან, სადაც იგი აცხადებს, რომ ნარკოტიკების გამოყენებისათვის ნასამართლევნი ექვემდებარებიან ამნისტიას. მივედი კოლონიის უფროსთან. მან მითხრა, რომ არა აქვს ინსტრუქცია და ვერ გამათავისუფლებს. მივწერე კომახიძეს, თვითონ ბ-ნი ვ. ტაბალუა დამეხმარა წერილის შედგენაში. პასუხი არ მიმიღია. მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ, ავადმყოფი, თუ გასათავისუფლებელი ვარ, გამათავისუფლონ, თუ არა და, გამაგებინონ მაინც...

**— თქვენ რამდენჯერ ხართ ნასამართლევი... — ვეკითხები იქვე მდგომ პატიმარს.**

— ერთხელ 10 წელი ვიჯექი, მერე 7, მერე 9...

**— როდის განთავისუფლდებით...**

— მგონი 1994 წელს. კი, 94 წელს.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებთ...**

— ტყუილს თავს ვერ ვეტყვი და ... თქვენ როგორ გკადროთ... არც ვკითხულობ, არც ტელევიზორს ვუყურებ. ყველაფერი, რაც არსებობს, ვიღაცის იარაღია, რომ ვიღაც შეაცდინოს. არ მინდა, რომ ვინმეს მონა გავხდე, ვინმეს გავლენის ქვეშ მოვექცე...

ციხეში ყველაზე იდუმალ, ტაბუდადებულ სამყაროს „შავების" ზედა ფენა წარმოადგენს. ისინი ადმინისტრაციას ექვემდებარებიან იმდენად, რამდენადაც სასჯელს იხდიან.

— მაგალითად, მე თუ შევაგინებ — დამარტყამს, თუ დავარტყამ — დამჭრის. თუ დავსჯი და სადმე, სხვა ციხეში გადავაგზავნი, სადაც ამაზე უფრო ცუდი პირობებია, არ დაიწყებს სხვებივით წუწუნს, რადგან მიაჩნია, რომ მას ყველგან სიამოვნებით მიიღებენ — ამბობს ერთ-ერთი ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

**თუმცა ერთი-ორგან წინააღმდეგობას წავაწყდი, გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ამელაპარაკებინა ეს ხალხი. ხომ საინტერესოა, ვინ არიან ეს კანონიერი ქურდები, რა აზრებს ატარებენ, რა იდეებს... ან ასე რატომ გაურბიან ოფიციოზს...**

ერთ-ერთი კოლონია. კოლონიის უფროსმა რეპროდუქტორით გამოაცხადებინა ორი კანონიერი ქურდის გვარი. ეჭვობს, შეიძლება არც მოვიდნენო, მაგრამ ცოტა ხანში ორივენი შემოდიან.

ერთი მათგანი სათვალიანია, ინტელიგენტური შესახედაობის, დინჯი და სერიოზული. მას თხუთმეტი წელი აქვს მისჯილი. ხუთი წელია უკვე „ზის".

მეორე თექვსმეტი წელია სასჯელს იხდის. რამოდენიმე თვეში თავისუფლდება. ახლა დგას და ირონიული ღიმილით მიმზერს. არცაა გასაკვირი. მე მისთვის იმ ხელისუფლების წარმომადგენელი ვარ, ვინც თავისუფლება აღუკვეთა.

**— მოდით, ოფიციალურ პირად ნუ ჩამთვლით. ისე ვისაუბროთ, ჩვეულებრივად, ადამიანურად.** — ვცდილობ ირონიის მოლბობას.

— ბოდიშით, თქვენ გაზეთისთვის გინდათ ეს?

**— გაზეთისთვისაც. მხოლოდ გპირდებით, თქვენს ვინაობას არ დავასახელებ.**

— რაზე ვისაუბროთ, აი, თუნდაც, ჭეშმარიტებაზე? — ისევ მეორე ქურდი აქტიურობს — ჭეშმარიტება საერთოა. სიმართლე ყველას თავისი აქვს. არ მეთანხმებით? ციხე კი სახელმწიფოს მოდელია. თუ გინდა გაიგო, რა სახელმწიფოა, შედი ციხეში. რა წესებიც ამ შემოღობილშია, ის წესები ვრცელდება საზოგადოების ნებისმიერ ფენაში. ხალხი ყველგან ერთნაირია. აქ თუ იქ. ყველას ერთნაირი ჩვევები აქვს. იცით, ჩვენ არ გამოგადგებით ამ საუბრისათვის, გინდათ, დავუძახებ სხვებს... — წყვეტს მოულოდნელად.

**— რატომ ჩამოიყვანეს რუსეთიდან** — ვაგრძელებ მაინც.

— ერთი საბაბით — ჩაფიქრებული ამბობს სათვალიანი.

— ერთი საბაბით — აგრძელებს ისევ ის — თურმე ქართველები გამოფხიზლებულან და გახსენებიათ, რომ ჩვენც ქართველები ვართ. მერე ამ მიმართულებით რაღაც მოძრაობა წასულა, პატივი გვცეს. დავა[illegible]თო და ჩვენს ცუდს ჩვენ [illegible]ლთან მოვუაროთო.

— ნ.წილი ჩამოიყვანეს. იქ კიდევ ბევრი ქართველი დარჩა. არ არსებობს კოლონია, ქართველი რომ არ ყოფილიყო. — ამბობს სათვალიანი პატიმარი.

— რატომაა ამდენი ქურდობა, თქვენი აზრით? — საუბარში ფრთხილად, მოზომილად ერთვება კოლონიის უფროსი. პატიმარი ამ კითხვაზე ისევ ირონიულად იღიმება და ასეთივე ტონით პასუხობს:

— როცა პირველად ადამიანმა ზედმეტის მოგროვება დაიწყო, ადამიანთა სხვა ნაწილმა დაიწყო მოპარვა. სანამ იქნება სახელმწიფო და შენახვა, იქნება ქურდობაც.

— მკვლელობა...

— თავდაცვისას შეიძლება მოკლა კაცი, სხვა შემთხვევაში — არა. ქურდობა და მკვლელობა შორიშორს არის. „უპრავლენიის" ერთმა გენერალმა მოსკოვში მინისტრს ოფიციალურად მისწერა (იქ ქურდები იყვნენ დაჭერილი): ქურდები მაწყობს, ზონაში წესრიგიაო... ჩვენ ჩვენდაუნებურად გვიხდება აქ ცხოვრება. იმ კანონის გარდა, რომელიც „უგალოვნი კოდექსშია", უნდა იყოს რაღაც ეტიკეტი მოქცევის, რომ არც შენ გცემონ, არც შენ სცემო... — მოულოდნელად შეწყვიტა, რადგან იგრძნო, რომ თანდათან გულახდილი გახდა — მოდი რა, წავიდეთ... ჩვენს ნალაპარაკევს ნ
დაწერთ, ან დაწერეთ როგორ
თქვენი აზრი. ბოდიშით, ცარგ
ბრძანდებოდეთ...

აი, ახეთია გარედან დანახუ
ციხე.

ყველგან, სადაც მივედი, თ
ვაზიანად გამიღეს კარი. პატ
რებთან საუბრის საშუალებაც მ
მცეს (რა თქმა უნდა, ადმინის
რაციის წარმომადგენლის თანდ
წრებით), ზოგიერთ საკანში შე
ხედეს კიდეც და, ერთი შეხე
ვით, თითქოს „გულახდილადაც" ი
აუბრეს, მაგრამ...

ჩემთვის მაინც დაკეტილი აღმ
ჩნდა ამ სამყაროს კარი. ერთი ს
ტყვით, მიმიშვეს იქამდე, რამდ
ნადაც მიაჩნდათ საჭიროდ (ამ
შესახებ სამინისტროს ერთმა თან
მშრომელმაც მითხრა ძალიან კ
ტეგორიულად, რომელიც გარე
შემხვდა, ზონაში შესვლამდე:
შინაგან საქმეთა სამინისტრო
დაწესებულებაა, გენაცვალე, არ
საკითხები, რომლებზეც თქვენ
ჩაგაბედებთ ადმინისტრაცია,
თუნდაც პატიმარი, რადგან ას
საჭიროო).

თუმცა, „იმ საკითხებში" ჩა
ხედავადაც ბლომადაა პრობლემ
ბი, რომლებიც თავს ვერ მალავ
და რაზეც ამ წერილში უკვე ვ
ლაპარაკე. მაგრამ ლაპარაკი ლაპ
რაკად რომ არ დარჩეს, როგორ
ეს საერთოდ ხდება ხოლმე, ს
ჭიროა კონკრეტულად დავსვათ ს
კითხი, რათა ის, რისი გადაჭრ
ამ ეტაპზე შესაძლებელია, აღ
დაყოვნდეს.

პირველი, რაც ყველაზე აუც
ლებელია, ოფიციალურად უნ
დაიშვას პაემნების შეუზღუდ
რაოდენობა, თუმცა, ეს ე. წ. კა
ნის დარღვევაა და ამით სარგე
ლობს ამ კანონისა და პატიმრებ
სამხედრო „დაცვა". ისინი გაუმ
ღრად ყულეფენ მსჯავრდებულ
ხშირად გაჭირვებულ ახლობლებ
ყველას ხომ არა აქვს საშუალ
ყოველ „უკანონო" პაემანზე ას
ბით მანეთი დახარჯოს. ან იმის
მო, რომ კანონით დაშვებულ
კგ-ზე ცოტა მეტი პროდუქტის შ
ტანა მოახერხოს, ნახევარი
თხოვრადქცეულ „სალდათებ
ჩაუდოს გამოწვდილ ხელ
ში. მაგრამ არა მარტო სამხედ
როები, ადმინისტრაციაც საქმაოდ
აქტიურობს ამ საკითხში. თი
მის ყველგან, სადაც ვიყა
კოლონიების უფროსებმა
თხრეს, სხვაგან არ ვიცით, მაგ
ჩვენთან ასეთი რამ არ ხდება.
შეგიძლიათ, დაეკითხოთ თვით
პატიმრებსო.

ასეთ შემთხვევაში მტკიც
ძნელია. შეიძლება ამა თუ იმ ც
ხესა და კოლონიაში მართლაც
როგორც ადმინისტრაცია აცხადებ
მაგრამ აბა გარეთ საათობით ა
ზულ დედებს, ძმებს, ცოლებს
თხეთ, ნებისმიერ კოლონიაში,
თო ჩასვლაზე, სულ ცოტა, ათ
მანეთი მაინც რომ ეხარჯებათ...

მახსენდება ერთი ყოფილი
ტიმრის ნათქვამი: გარეთ არ ხე
დება კაცს იმდენი თანხა, რამდ
ნიც ციხეში. აქ, ამ იმპერიაში,
საქმეს აკეთებს ფული, იქ, იმ
ტარა „იმპერიაში" საჭიროა დ
ფული და ნებისმიერ პრობლემ
გადაწყვეტო.

რაც შეეხება „პერედაჩს", შ
ღუდული არ უნდა იყოს მისი
წონა, არც შეგზავნის სიხშირე.

დღეს მხოლოდ ციხეში კი ა
„კავშირში" შემავალ მთელ რ
პუბლიკებში მძაფრი ეკონომიკუ
კრიზისია. ამიტომ ძნელია (ამ ე
პზე) თანხების გამოყოფა და
ყოფაცხოვრებო პირობების გა
ჯობესებაზე ზრუნვა; მით უმეტ
როცა ორთაჭალის ციხეში, მა
ლითად, კორპუსების კაპიტ
ლური რემონტია ჩასატარებე
და ალბათ არც ეს აღარ უ
ლის, ისეა დანგრეული იქაური
(სხვა დაწესებულებებზე აღ
რაფერს ვამბობ), მაგრამ როდე
შეიძლება იყოს საკანში, სად
პატიმარი დღე-ღამეში 23 სა
ატარებს, ღია ტუალეტი — „
რაშა", ან როდემდე უნდა იყო
ბოდნენ ზამთრობით ქვის ცივ
სტიან კედლებში...

**ამ მართლაც ველურ პირობებ
არაადამიანური საპყრობილე კანონებ
გათვალისწინებით, ხომ ადამიან
მარტოოდენ დასჯა შეიძლება
ხორციელდეს, გამოსწორება კ
არა. მესმის, რომ ამჟამად თავი
ფალ მოქალაქეთაც მძიმე პირო
ბში უხდებათ ცხოვრება, მაგ
იმის უთქმელობაც არ შეიძლებ
რაზედაც წერილში გიამბეთ.**



# საკავშირო პარლამენტი პორნოგრაფიას მგრძნის

იმ დროს, როცა თბილისის ქუჩებში გამოსული ადამიანები დიდი სიხარულით ესალმებოდნენ მელოთხე. რესპუბლიკის კავშირიდან გასვლას, სსრკ უმაღლეს საბჭოში თავს იმტერვედნენ იმაზე, თუ რა განსხვავებაა პორნოგრაფიასა და ეროტიკას შორის.

კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ გუბენკომ ყირიმში განცხრომაც კი მოიკლო, რათა მონაწილეობა მიეღო ამ სხდომაში. როგორც ცნობილია, „საზოგადოების ზნეობის დაცვის პროგრამა“ იმ კომისიის მიერ იქნა შემუშავებული, რომელსაც მინისტრი ხელმძღვანელობს.

სამსაათიანი ცხარე კამათის შემდეგ სხდომამ მიიღო სათანადო დადგენილება.

„ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ავარიდოთ ქალები პორნოგრაფიას“ — განაცხადა დეპუტატმა ბორის ოლეინიკმა. ორატორის გამოსვლა „საბჭოთა კავშირის პორნოგრაფიულ ოკუპაციასა“ და მასთან ბრძოლის მეთოდებს შეეხებოდა. მწერალმა მიწასთან გაასწორა „ე. წ. სილამაზის კონკურსები“ და წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს, რათა მან თავისი სიტყვა თქვას პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში და მფარველობის ქვეშ აიყვანოს შემოქმედებითი კავშირები.

ვალენტინ რასპუტინი უფრო კონკრეტული იყო. თავის გამოსვლაში, მან, პირველ რიგში, სცადა დაერწმუნებინა დეპუტატები, რომ ვენერა მილოსელის ქანდაკება ხელოვნების ნიმუშია და არა პორნოგრაფია. პრეზიდენტის საბჭოს ყოფილმა წევრმა ზნეობრივ გახრწნილება-გადაგვარებაში ბრალი კომკავშირს დასდო და განაცხადა, რომ ოცდახუთი ათასი საბჭოთა ვიდეოსალონიდან ნახევარი სწორედ კომკავშირის კუთვნილებაა. მწერალმა მწვავედ გააკრიტიკა „გამქირავებელთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი, ვინმე ისმაილ ტალი ზადე, რომელიც სახელოს ყოფილი თავმჯდომარის, ფილიპ ერმაშისა და, ჩვენთვის კარგად ცნობილი, საბჭოთა კავშირის ყოფილი გენერალური პროკურორის ალექსანდრე სუხარევის ხელდასხმულია.

9 აპრილის „გუბენკოსეულმა დადგენილებამ“ აშკარად ვერ დააკმაყოფილა პორნოგრაფიასთან მებრძოლი მწერალი, რაც კარგად ჩანს იმ ინტერვიუდან, რომელიც რასპუტინს „ნეზავისიმაია გაზეტას“ კორესპონდენტმა ჩამოართვა.

— როგორ აფასებთ მიღებულ დადგენილებას?

— იგი მეტად მოფერებითი ხასიათისაა. არადა აუცილებელია ქმედითი ღონისძიებების გატარება. ვფიქრობ, ეს დადგენილება ცარიელი ვაზნის გასროლა იქნება.

— როგორ უყურებთ სილამაზის კონკურსებს?

— ეს კონკურსები კარგი იქნებოდა მაშინ, თუ ქალების ფიზიკურ სილამაზესთან ერთად მათ გონებრივ შესაძლებლობებსაც გაითვალისწინებდნენ. ვინაიდან ადამიანის სხეულის სილამაზეს სწორედ გონიერება ამშვენებს.

— ხომ არ გგონიათ, რომ სსრკ-ში პორნოგრაფიის გავრცელება დასავლეთის გავლენით მოხდა?

— რკინის ფარდა უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს. ხოლო ეროტიკამ და პორნოგრაფიამ უკანასკნელ ხანს იმძლავრა ჩვენს საზოგადოებაში. ახე რომ, ყოველგვარი მანკიერება, რაც ჩვენში ხდება, დასავლეთის გავლენა როდია. უბრალოდ, ჩვენს დემოკრატიულ და ლიბერალურ პრესას, უამათოდ არსებობა ვერ წარმოუდგენია. მასობრივი ინფორმაციით ამ მანკიერებათა რეკლამირებამ ხელი შეუწყო პორნოგრაფიისა და ეროტიკის დამკვიდრებას ხალხის შეგნებაში. „ზნეობრივმა ცენზურამ“ პირველყოვლისა სწორედ ინფორმაციის საშუალებათა დაწმენდაზე უნდა იზრუნოს.

„ნეზავისიმაია გაზეტა“, № 44. 1991 წელი.

თარგმნა კობა ლიკლიკაძემ

---

# შენს მრჩევლებსა და შენც რუსეთი დალუპვისაკენ მიგყავთ

ძველი ბანალური გამოთქმაა: — ისტორიის ძირითადი გაკვეთილი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები ისტორიიდან არ იღებენ არავითარ გაკვეთილს.

მე ახლახანს დავამთავრე წიგნი ნიკოლოზ მეორეზე.... ამ წიგნში შევეცადე ბოლომდე გამეხსნა მეფისა და მისი ოჯახის! მკვლელობის ისტორია. „რუსეთში ყველაფერი საიდუმლოა, მაგრამ არაფერი იმალება...“ როცა წერას ვიწყებდი, ვიცოდი, რომ მეფის ოჯახის მკვლელობის მთავარ დამნაშავეთა ჩვენებები ინახება საბჭოთა საიდუმლოსაცავებში. შევძელი მეპოვა ის, რასაც ვეძებდი. დავრწმუნდი, რომ მეფის ოჯახის მკვლელობის ისტორიაში მართლაც იყო საიდუმლო, მაგრამ მუშაობისას თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ უფრო საიდუმლო იყო თვითონ რუსეთის ბოლო მეფის დაღუპვა კი არა, არამედ მისი ცხოვრება. უდიდესი იმპერიის აგონიაში მისტიკურად აისახა ჩვენი დღევანდელობაც. ნიკოლოზ მეორის ცხოვრება ერთგვარი გაფრთხილებაცაა... აი, რას სწერდა რევოლუციის წინა წლებში ნიკოლოზ მეორეს დიდი თავადი ალექსანდრე მიხეილის ძე: „...მოვლენები გვიჩვენებს რომ შენს მრჩევლებს რუსეთიც და შენც დალუპვისაკენ მიჰყავთ... სასოწარკვეთილება გვიპყრობს, რადგან შენ არ გინდა მოუსმინო იმათ, ვინც იცის რა მდგომარეობაშია რუსეთი და გირჩევენ მიიღო ზომები, რომ გამოვიდეთ ამ ქაოსიდან.

...მთავრობა დღეს ის ორგანოა, რომელიც ამზადებს რევოლუციას. ხალხს ეს არ უნდა, მაგრამ მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ რაც შეიძლება მეტი უკმაყოფილონი ჰყაედეს და საკმაო წარმატებითაც აღწევს ამას. ჩვენ ვართ მოწმე არნახული სანახაობისა — რევოლუცია ზევიდან და არა ქვემოდან“.

ჩვენი მთავრობა — კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უნარიანი მთავრობაა... ყოველ შემთხვევაში, დანარჩენი მსოფლიო თავს იტეხს ამოცანაზე: მაინც როგორ, რა გზით შეძლო მან ქვეყანაში, რომლის წიაღისეულში მენდელეევის მთელი ტაბულაა მოთავსებული, გააჩნია უკიდეგანო ტერიტორია და ყველაზე იაფი მუშახელი, არაფერი აღარ დარჩა.

მხოლოდ ჩვენმა ხალხმა იცის ამომწურავი პასუხი, სამოცდაათწლიან მხიარულებაში გამოჯაკულმა ხალხმა ისწავლა თავისი სიბრძნის გამოხატვა არა ანდაზებში, როგორც წინაპრებმა, არამედ ცხოვრებისეულ ანეკდოტებში.

70-იანი წლების ანეკდოტი: „შეიძლება თუ არა სოციალიზმის აშენება საჰარაში?“ — „შეიძლება, მაგრამ ქვიშა არ იქნება“.

ქუჩებში კი დადიან ტროლეიბუსები რეკლამით, საიდანაც მოგვიწოდებენ ვიყიდოთ არარსებული საქონელი, ტელევიზორიდან აქებენ, იმას, რაც ალბათ მომავალ საუკუნეშიც არ გვექნება...

ზრუნავს, ზრუნავს მთავრობა, რომ წამითაც არ შეწყდეს ჩვენი აბსურდის მხიარული თეატრი.

ახე რომ, გორბაჩოვის დროის თეატრში ახალი აქტი იწყება. მორიგი თუ საბოლოო? ვინ იქნება სცენაზე, პოლკოვნიკების ბერძნული ქორო? (არმიას ხომ დაბეჯითებით არწმუნებდნენ იმაში, რომ მას შეუძლია მოახდინოს გადატრიალება და მანაც დაიჯერა).

მაგრამ ერთი ცხადია: სცენაზე უკვე გამოდიან ჩრდილები — გარდაცვლილთა და ცოცხალთა... ჯერ ალიევი, შემდეგ რაშიდოვი... მე ვნახე მახალა დოკუმენტური ფილმიდან ბრეჟნევის დროებაზე. დარბაზში ოხრავდნენ: „ნახე, ნახე, მაღაზიები სავსეა, ქუჩაში იღიმებიან, ნორმალური ცხოვრებაა“.

და ახლა, როცა ყველა სასტიკად დაიღალა თავისუფლებისაგან და ზღურბლზეა შიმშილი, ისინი ჩვენს საწყალ ხალხს ჯერ ყველს გამოუჩენენ, შემდეგ შაქარს, შემდეგ უხარისხო ტელევიზორებსა და მაცივრებს და მერე, როცა მაღაზიებში არაყიც გამოჩნდება, ყველა ისეთი ბედნიერი იქნება, ვერც კი შეამჩნევენ არაყთან ერთად ახალი ტუსაღებიც რომ გამოჩნდება ციხეებში...

თანაც, ამჯერად ციხეში ჩასმა იქნება ნამდვილად „ხალხის მოთხოვნით“, რადგანაც ხალხი გაუფრთხილდება მობრუნებულ ბრეჟნევისეულ სამოთხეს.

გარდაქმნა — შესანიშნავი გამოგონებაა, რომელიც დაეხმარება ჩვენს ხალხს შეიგნოს, თუ რა კარგად ცხოვრობდნენ „პაპაშას“ დროს. მხოლოდ არ იფიქროთ ყველაფერი თავის წრეში დაბრუნდება. არა, არა — ბევრი რამ სამუდამოდ შეიცვალა. ჩვენს სახელმწიფოში გაჩნდა ახალი კლასი...

სანამ საზოგადოება აღშფოთებას გამოთქვამდა ნაფიისა და კოოპერატივების სიმდიდრეზე, მოვიდნენ ნამდვილად მდიდრები — სასიამოვნო, ახალგაზრდული კომკავშირული სახის, არცთუ შორეულ წარსულში პარტიული ფუნქციონერები და კომკავშირული ბელადები, ან კიდევ უფრო დახურული ორგანიზაციების თანამშრომლები. ახლანდელი გენერალური დირექტორები, ხელმძღვანელები უმდიდრესი ფირმებისა და საწარმოებისა, რომლებიც, როგორც სოკო წვიმის შემდეგ, ისე უჩინრად მრავლდებიან... და როცა დაიწყება პრივატიზაცია, ყველაფერი ეს მათი საკუთრება იქნება. ჩვენი მომავალი საბჭოთა კაპიტალისტები, პარტკაპიტალისტები, კულტურული წამოწყებების გულუხვი სპონსორები, ჩვენი მეცენატები... სწორედ ისინი წარმართავენ ახლო ხანში ხელოვნებას, და არა მათხოვარი კულტურის სამინისტრო. რას იზამ, იდეოლოგიის მართვა ფულის მეშვეობით უფრო ეფექტიანია... ვინც ისდის, ის უკვეთავს კიდეც მუსიკას. და რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, როცა ციხეები ჩვენთან კვლავ ამუშავდებიან, დასავლეთში ვერ გაბედავენ ამის გამო დიდი ხმაურის ატეხვას. — შეეცდებიან არ გაანაწყენონ საქმიანი პარტნიორები. ისინი ქარს არ გაატანენ თავიანთ დანახარჯებს...

ეხლა ჩვენ გვეშინია შიმშილის, მაგრამ გვავიწყდება სხვა შიმშილი, რომელიც ოთხმოცი წელია მძვინვარებს ჩვენს ქვეყანაში.

ედუარდ რაძინსკი,

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“
1991 წლის 14 აპრილი.

(იბეჭდება შემოკლებით)

---

# რეფორმები — კვალდაკვალ სისხლი

რუსეთის მთელი ისტორიის მანძილზე ღრმა რეფორმების მცდელობანი ყოველთვის მთავრდებოდა ან რეაქციით, ან სტაგნაციით.

ყოველი რეფორმის დაწყებას, შემდეგში მოსდევდა ისევ უკუსვლა — როგორც საბჭოთა, ისე რევოლუციამდელ პერიოდშიც.

„ვერცერთმა რეაქციულმა რეჟიმმა ამერიკაში გაფიქრებაც კი ვერ გაბედა ზანგებისთვის ისევ მონების სტატუსის მინიჭებისა, რისგანაც ზანგები სამოქალაქო ომმა იხსნა. ჩვენთან კი ყოველ საუკუნეში ტირანიის რეფორმებიც ხდებოდა, პერიოდულად ტოტალური ტერორიც აღორძინდებოდა, რევოლუციის შემდეგ გლეხებს მიწასაც ართმევდნენ, სამოქალაქო ომის შემდეგ მათ ისევ მონობისაკენ აბრუნებდნენ“ — წერს ალექსანდრე იანოვი, რომელსაც ეკუთვნის გამოკვლევების ციკლი „რეფორმა-კონტრრეფორმა“ და „რეფორმა-სტაგნაცია“.

უდიდესი რუსი რეფორმატორების ბედი — დაწყებული 1500-იანი წლების რეფორმების იდეოლოგიდან ალექსი ადაშევიდან და ვასილი გოლიცინიდან (რომელმაც მოინდომა ბატონყმობის მოსპობა 1680-იან წლებში) დამთავრებული პეტრე სტოლიპინითა და ნიკიტა ხრუშჩოვით — ტრაგიკულია. მათ ელოდათ ფიზიკური, ან პოლიტიკური სიკვდილი.

როგორც არ უნდა იყოს, რეფორმის იმ ზომამდე მიყვანას, როცა უკვე უკან დაბრუნება შეუძლებელი გახდება, ყოველთვის აკლდა მთავარი — ეროვნული თანხმობის მიღწევა. უნარი მოწინააღმდეგე მხარეებს მოესმინათ ერთმანეთისათვის და, სიბრძნე სწორი გზის მოსაძებნად.

პირველი რგოლი ისტორიული განმეორებების ტრაგიკულ ჯაჭვში — 1550-იანი წლებია, როცა რუსეთის პირველმა მოკრძალებულმა მცდელობამ შეერთებოდა მსოფლიო ცივილიზაციას, განიცადა გამანადგურებელი დამარცხება, რასაც მოჰყვა ივანე მრისხანეს დიქტატურა.

პირველი რეფორმის დამარცხების შედეგები: ჩამოხრჩობილ იქნა 4 ათასზე მეტი კაცი.

1720 და 1760-იანი წლების რეფორმული მცდელობანი პოლიტიკური სტაგნაციით დამთავრდა.

1825 წლის დეკაბრისტების აჯანყება ლიდერების ჩამოხრჩობითა და ნიკოლოზ პირველის კონტრრეფორმისტული დიქტატურით დასრულდა.

1860-იანი წლების რეფორმა მგავდა ხანგრძლივ გარღვევას ამ ტრაგიკული ჯაჭვისას, მაგრამ რეფორმატორი მეფე ალექსანდრე მეორე იღუპება ტერორისტის მომბისაგან და მის ლიბერალურ მმართველობას ცვლის ალექსანდრე მესამის რეაქციული რეჟიმი.

ასეთივე ბედი ეწია სტოლიპინის რეფორმასაც.

1917 წლის თებერვალში დაწყებული ცხოვრების საფუძვლიანი გარდაქმნა მთავრდება 1917 წლის ოქტომბრით, რასაც მოყვა ბოლშევიკების დიქტატურა. და თუ წინა დიქტატურებიდან ყველაზე სისხლიანის, ივანე მრისხანეს დიქტატურის მიერ ჩამოხრჩობილთა რიცხვი ათასებით იზომებოდა, ამ რევოლუციებმა „ათობით მილიონი თავი“ შეიწირა.

1985 წელს დაწყებული რეფორმის მოპირდაპირე მხარის გრაფაში — „შედეგი“, — კვლავინდებურად დასმულია კითხვის ნიშანი. ეროვნული თანხმობის გზების ძიების უარყოფამ შეიძლება ეს რეფორმაც წინა ტრაგიკული რეფორმების რიგში დააყენოს.

ვლადიმერ ორლოვი,
„მოსკოვსკიე ნოვოსტი“, № 15.
14 აპრილი, 1991 წელი.

---

# გარიცხეს ჟურნალისტთა კავშირის რიგებიდან

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ „საკავშირო“ ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე, „პრეზიდენტის ხაზის“ აქტიური გამტარებელი ლეონიდ კრავჩენკო მოსკოვის ჟურნალისტთა კავშირმა თავისი რიგებიდან გარიცხა.

გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტში“ (№ 16) დაბეჭდილ მოსკოვის ჟურნალისტთა კავშირის „გამრიცხავ“ დადგენილებაში ვკითხულობთ:

„— ტელევიზიაში ცენზურის შემოღებისათვის;

— ტელეჟურნალისტთა პროფესიონალური მოღვაწეობის ჩახშობისათვის;

— აქტუალური პოლიტიკური პროგრამების შეცვლისათვის ეროვნებათაშორისი შუღლის გამღვივებელი გადაცემებითა და დაბალი დონის გასართობი სანახაობებით;

— ტელევიზიის მონოპოლიზაციისათვის...

— ბალტიისპირეთისა და ქვეყნის სხვა რეგიონების მოვლენათა ტენდენციური გაშუქებისათვის;

აგრეთვე, გაითვალისწინა რა ტელემაყურებელთა, სახალხო დეპუტატთა, ფართო საზოგადოებრიობის, შემოქმედებითი ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი პროტესტები, მოსკოვის ჟურნალისტთა კავშირის სამდივნომ ლ. პ. კრავჩენკო გარიცხა ჟურნალისტთა კავშირის რიგებიდან“

# გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს ნოდარ გრიგალაშვილს

**ბატონო** ნოდარ, გაზეთი „საქართველო" გამოწერილი მაქვს 1991 წლის 1 იანვრიდან მთელი წლით, ქალაქ თელავის ფოსტაში.

გთხოვთ, რეგულარულად გამომიგზავნოთ ყველა ნომერი. მხოლოდ № 2 და № 3 მაქვს მიღებული.

შეიძლება თავი იმართლოთ — გაზეთის ნომრები თქვენამდე ვერ აღწევსო. არავითარ შემთხვევაში! უკვე რამდენიმე წელია სისტემატურად, მხოლოდ სამი დღის დაგვიანებით ვიღებ „ლელოსა" და „ახალგაზრდა ივერიელს".

ბატონო ნოდარ, ნუთუ არ გსურთ, რომ მომავალშიც გამოვიწეროთ „საქართველო?"

მოუთმენლად ველი თქვენი გაზეთის ნომრებს!

**კობა დიმიტრის ძე ბიგაური.**
**156901. კოსტრომის ოლქი, დაბა ვოლგორეჩენსკი, ლენინური კომკავშირის ქუჩა 11, ბინა № 86.**

**რედაქციის მინაწერი კავშირგაბმულობის სამინისტროს მესვეურთათვის:**

მსგავსი წერილები ბევრჯერ დაიბეჭდა ქართული გაზეთების ფურცლებზე. დაიბეჭდა, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმეს არაფერი ეშველა — შორეული კოსტრომის ოლქში კი არა, აგერ, თბილისის შემოგარენში ვერ მიუღიათ ხელმომწერებს „საქართველოს" და სხვა ჟურნალ-გაზეთების კუთვნილი ეგზემპლარები.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს კავშირგაბმულობის სამინისტროს საფოსტო კავშირის სამმართველოს უფროსს ბატონ რ. შიმშილაშვილს მიხედოს ამ საქმეს — ბოლოსდაბოლოს ყველა ხელმომწერს მიაწვდინეთ გაზეთის ნომრები. გააკეთეთ ის, რაც გევალებათ, რაშიც ფულს იღებს თქვენი უწყება კატასტროფიულად გაზრდილი ოდენობით.

# რა ღირს გენერალი შვარცკოპფი?

**გენერალმა** ნორმან შვარცკოპფმა, ანტიერაყული კოალიციის მრავალეროვნული ძალების მთავარსარდალმა, მხოლოდ ქუვეითის დამპყრობელი აგრესორი კი არ გაანადგურა, არამედ „უოლსტრიტ ჯორნელის" ცნობით, „მტურმით აილო საქმიანი ამერიკის გული". ამ დასკვნამდე გაზეთი მივიდა აშშ-ს წამყვანი მენეჯერების გამოკითხვის შედეგად — თუ რა შანსი ჰქონდა შვარცკოპფს მიეღო ადგილი რომელიმე ფირმის მმართველობში ანდა დამკვირვებელთა საბჭოში.

საქმე იმაშია, რომ სპარსეთის ყურის ომის ორმოცდათექვსმეტი წლის გმირი აპირებს ამერიკის არმიის დატოვებას. თუ გადამდგარი გენერალი არ ფიქრობს მხოლოდ დაფნის გვირგვინით ნებივრობას, მაშინ მომავალში შეძლებს ბევრად მეტი გამოიმუშაოს თავის არმიულ ჯამაგირთან შედარებით, რომელიც ამჟამად შეადგენს 108 000 დოლარს წელიწადში. აშშ-ს ბიზნესმენები დარწმუნებულნი არიან, რომ კაცი, რომელმაც შეძლო არაბეთის უდაბნოში გიგანტური სამხედრო ოპერაციის ჩატარება, წარმოებაშიც ბრწყინვალე მმართველი იქნება. ამიტომაა, განუწყვეტლივ რომ სთავაზობენ სამუშაოს.

რონ უოკერი, ვაშინგტონის მენეჯერთა მოწყობის ფირმის დირექტორი, ფიქრობს, რომ შვარცკოპფს შეუძლია თავისუფლად ივარაუდოს წლიური ხელფასი 300 ათასიდან მილიონ დოლარამდე. „გადაეცით: თუ უნდა, ახლავე ავიყვანთ. და იმდენს გადავუხდით, რამდენსაც მოითხოვს" — გამოაცხადა „უოლ სტრიტ ჯორნელში" აეროკოსმოსური კონცერნის „ლოკჰიდის" შეფმა ჰაროლდ საიმონსმა. მზადყოფნა იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელის პოსტი ჩააბარონ შვარცკოპფს გამოთქვეს კომპიუტერულმა ფირმამ და ბანკების გაერთიანებამ. ასე რომ, „უდაბნოს გრიგალის" შემდეგ ამერიკის შრომის ბაზარზე გამოჩნდა ერთობ ძვირად ღირებული საცალო საქონელი.

**ანდრეი ნიკიტინი,**
**„მოსკოვსკიე ნოვოსტი", № 13, 31 მარტი, 1991 წელი.**

**მთარგმნელის მინაწერი:**

გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" კორესპონდენტის ირონიულ შენიშვნას, რომ „ამერიკის შრომის ბაზარზე გამოჩნდა ერთობ ძვირადღირებული საცალო საქონელი" და თვით სტატიის ცინიკურ სათაურს: „რა ღირს გენერალი შვარცკოპფი?" გასაგები ახსნა მოეძებნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ანდრეი ნიკიტინი იმ ქვეყნის წარმომადგენელია, რომლის გენერლები ავღანეთის სამარცხვინო ავანტიურის, აღმოსავლეთ ევროპაში ჟანდარმის ყოვლად გაუმართლებელი როლის შესრულების შემდეგ თბილისის, ვილნიუსისა თუ ბაქოს უიარაღო მცხოვრებლებზე სცდიან თავიანთ სამხედრო-სტრატეგიულ ნიჭს. ახლა, წარმოიდგინე მკითხველო, რომელიმე მათგანმა გადადგომა რომ გადაწყვიტოს, მიიწვევენ სადმე სამუშაოდ? ალბათ მიიწვევენ, ოღონდ ჯალათის სპეციალობით.

მოამზადა
**მიხო მოსულიშვილმა**

# თარგმნისას „გამორჩათ"

**მიხეილ** გორბაჩოვი იმიტომაც იმსახურებს აპლოდისმენტებს, რომ შეუძლია იცინოს თავის გაჭირვებაზე, მაგრამ მან, ალბათ, უმჯობესია ხუმრობებისათვის სხვა ობიექტები მოძებნოს, მით უმეტეს, თუ ერთ-ერთი მათგანი საფრანგეთის პრეზიდენტია. საბჭოთა პარლამენტის მუშაობის დასასრულს გორბაჩოვი ჟურნალისტებს მოუყვა თვითგამანადგურებელ ანეკდოტს, რომელშიც, მის გარდა ფიგურირებდნენ ფრანსუა მიტერანი და ჯორჯ ბუში.

„ამბობენ, რომ მიტერანს ჰყავს 100 საყვარელი, მათგან ერთს სპიდ-ი, მაგრამ მან არ იცის, რომელს; — ამბობდა გორბაჩოვი, — ბუშს 100 მცველი ჰყავს, მათგან ერთ-ერთი ტერორისტია, მაგრამ ბუშმა არ იცის, კერძოდ, რომელი. გორბაჩოვს ყავს 100 ეკონომიკური მრჩეველი, მათგან ერთ-ერთი ჭკვიანია, მაგრამ არ იცის, რომელი". ეს ხუმრობა მსოფლიოს ყველა გაზეთმა დაბეჭდა, მაგრამ საფრანგეთში, სადაც მიტერანის პირად ცხოვრებაზე ათასი ჭორი დადის და რაზეც იშვიათად მსჯელობენ პრესაში, ამ ხუმრობას სიფრთხილით მოეკიდნენ.

სააგენტო „ფრანს პრესმა", რომელიც მთავრობის მიერ ფინანსირდება, გადასცა ეს ხუმრობა, მაგრამ კუპიურებით, არ იყო ნახსენები არც ბუში, არც მიტერანი — მათი გვარები შეცვალეს სიტყვით „პრეზიდენტი".

**„ტაიმი" № 50**




რომან ქარქუზაშვილის ნახატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო ექსპანსიის ორი მიმართულება და საქართველო

**გიორგი ბექუაშვილი**

**გეოგრაფიულ** ფაქტორს ხშირად გადამწყვეტი როლი ენიჭება სახელმწიფოების, რეგიონების როგორც გეოგრაფიულ-კლიმატური და ეკოლოგიურ-ეთნიკური საკითხების გადაწყვეტაში, ასევე ხალხების, ერების ისტორიული ბედის, მათი ყოფნა-არყოფნის საკითხების განსაზღვრაში, მათ ქვეყნებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის დამკვიდრებაში...

გეოგრაფიული ფაქტორის შესახებ ღრმა დუმილი სუფევდა საბჭოთა კავშირში, ვინაიდან ეს თეორია უპირისპირდებოდა ყველანაირ მონოიდეოლოგიას და რა თქმა უნდა კომუნისტურ იდეოლოგიას, საბჭოური სახელმწიფო წყობის არსსა და პრინციპებს. შეიძლება ითქვას, რომ გეოგრაფიული ფაქტორის თეორიამ ჩვენთან ახალი სუნთქვა ახლა, ამ ბოლო ორ-სამ წელში შეიძინა. და თანაც არა ცენტრში, არამედ მოკავშირე რესპუბლიკებში და რუსეთის ფედერაციის ავტონომიებში. ეს კანონზომიერებაა, ყველანაირ ცენტრს, იმპერიულ ხელისუფლებას არასოდეს არ აძლევს ხელს ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება.

რა როლი შეასრულა გეოგრაფიულმა ფაქტორმა იმ მდგომარეობის შექმნაში, რაშიც დღეს საქართველო იმყოფება? ეს საკითხი რომ ნათლად გავიაზროთ, ამისათვის საჭიროა, გამოვიდეთ მსოფლიო, გლობალური პოლიტიკიდან, გავერკვეთ ამ ისტორიულ ძირებში, რამაც დაბადა ექსპანსიონიზმი, არა მარტო რუსული, არამედ დასავლეთევროპული. აუცილებლად თვალი უნდა გავადევნოთ ევროპაში ექსპანსიურობის ორ ძირითად წყაროს და ორ მთავარ მიმართულებას, ერთს, დასავლეთევროპულს და მეორეს — აღმოსავლეთევროპულს.

ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველო მოექცა მეორის, აღმოსავლეთევროპულის არეალში და დღესაც ჯერ-ჯერობით მის მარწუხებში იმყოფება. საქართველო რომ დასავლეთში ყოფილიყო, მაშინ დასავლეთევროპული ექსპანსიონიზმის ორბიტაში მოვიქცეოდით, როგორც ეს დაემართა ჩვენსავით პატარა ერებსა და ქვეყნებს აზიაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში.

დღეს დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ერების ურთიერთობაში, საკუთრივ მათი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობაში და სახელმწიფოთმშენებლობაში გეოგრაფიული ფაქტორი თავის გადამწყვეტ სიტყვას ამბობდა ჩვენი საუკუნის 60-იან წლებამდე, სანამ დაიშლებოდა მსოფლიო კოლონიური სისტემა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს დასავლეთევროპული ექსპანსიონიზმი. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ ეკონომიკურ-კულტურული ზეგავლენა ყოფილ კოლონიებში მან მაინც შეინარჩუნა. მაგრამ ეს არ ითქმება აღმოსავლეთევროპულ, ანუ რუსულ ექსპანსიონიზმს, რომელიც თავისი თავისა და სხვების სავალალოდ, დღესაც განაგრძობს მოქმედება-არსებობას.

მთავარი განმასხვავებელი ნიშანი რუსეთის იმპერიისა და დასავლეთ ევროპის მეტროპოლიების შექმნასა და მის საბოლოო შედეგებს შორის ისაა, რომ პირველი დღესაც განაგრძობს არსებობას, მაშინ, როდესაც მეორემ ამ ოცდაათი წლის წინ შეწყვიტა არსებობა. პირველის არსებობის გახანგრძლივებას, ჩვენი აზრით, ხელი შეუწყო ერთმა უმთავრესმა ფაქტორმა, კერძოდ, რუსული მიწების უშუალო სიახლოვემ ან მეზობლობამ სხვა ხალხებთან. კოლონიური იმპერიების რღვევა-დაშლა კი განაპირობა მთავარი წყალგამყოფის, — ოკეანეებისა და ზღვების არსებობამ, ე. ი. ორივე შემთხვევაში მრავალი ქვეყნისა და ერის ბედის განსაზღვრაში თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვა გეოგრაფიულმა ფაქტორმა, პირველ შემთხვევაში უარყოფითი, მეორე შემთხვევაში კი დადებითი. ჩვენდა სავალალოდ, საქართველო, მთელი კავკასია და კიდევ ბევრი სხვა მხარე პირველი გარემოების მსხვერპლი შეიქნა.

ამერიკისა და საერთოდ, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ხანაში ევროპის სოციალურ-ეკონომიკურად დაწინაურებულ ერებს ბუნებრივად გაუჩნდათ ერთი ახალი თვისება, რაც გამოიხატა ზღვებისა და ოკეანეების გაღმა მდებარე მიწებისა და ტერიტორიების დაპყრობაში, ადგილობრივი მოსახლეობის დაკაბალებაში და მათი ბუნებრივი სიმდიდრეების შეუზღუდავ ექსპლუატაციაში. ევროპის ხალხების ბუნებრივმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა ზღვაოსნობის აღმავლობა და მისი მეშვეობით ახალ-ახალი ტერიტორიებისა და ქვეყნების დაპყრობა. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს იყო გარდაუვალი პროცესი. ევროპის სოციალურ-ეკონომიკურად ზეაღმავალი ერები (შინაგანი სხვადასხვა ფაქტორების გამო) ვერ გაჩერდებოდნენ თავიანთ ისტორიულ-გეოგრაფიულ მიჯნებში. შემდგომი ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების საფუძველზე ისინი აუცილებლად გავიდოდნენ წმინდა ევროპული ორბიტიდან, ისევე, როგორც დღეისათვის ზოგიერთი მოწინავე მაღალტექნოლოგიური ქვეყანა გასცდა დედამიწის ორბიტას და კოსმოსის ათვისების, მისი სამეურნეო-ტექნიკური გამოყენების გზას ადგას.

რა ხდებოდა ამ მხრივ რუსეთში, რუს ხალხში? არც რუსობა ჩამორჩა თავის დასავლეთელ მეზობლებს ამ საქმეში. მაგრამ რუსეთს აღნიშნულ პერიოდში ზღვებზე და ოკეანეებზე გასასვლელი არ გააჩნდა და ზღვების საშუალებით პირდაპირ არ მიუწვდებოდა ხელი ოკეანისგაღმა ტერიტორიებზე. ამ მდგომარეობიდან გარკვეული გამოსავალი მაინც გამოინახა. ეს იყო იგივე ექსპანსია, მაგრამ სულ სხვა მიმართულებით, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით. ფორმა ტრადიციული დარჩა — სახმელეთო დაპყრობები. საქმის მთელი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ მიმართულებებით ექსპანსიურობას რუსეთისათვის უნდა აენაზღაურებინა ზღვისგაღმა ტერიტორიების მიუღებლობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგები.

სლავური მოსახლეობა მასობრივად დაიძრა აღმოსავლეთისაკენ, გაჩნდნენ პირველი „ერმაკები“, მათ მოჰყვა კოლონიზატორთა ახალ-ახალი ტალღა დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში. კოლონიზატორული სულისკვეთება რუსეთში იმდენად ძლიერი და ცხოველმყოფელი იყო ბოლო დრომდე, რომ არა მარტო მეფის რუსეთის, არამედ საბჭოთა პერიოდის დიდი სამხედრო გემები ერმაკის, ამ დიდი რუსი კოლონიზატორის, სახელს ატარებდნენ.

შუა საუკუნეებში და შემდგომაც როგორც რუსეთი არ უშლიდა ხელს ინგლისს, ესპანეთსა თუ საფრანგეთს ახალი ტერიტორიების დაპყრობა-ათვისებაში, ისე ეს უკანასკნელნი არ ეწინააღმდეგებოდნენ კარგა ხანს მეფის რუსეთს სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ ლტოლვაში. თუმცა რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას ევროპის ქვეყნების რუსეთისათვის XVI-XVIII საუკუნეებში, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, ვერც შესძლებდნენ. ესე იგი, ევროპის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში ვითარდებოდა ანალოგიური შინაარსისა და ხასიათის პროცესები. უკვე XVIII საუკუნეში ევროპა ექსპანსიურობის, დაპყრობების, ზღვებისა და ოკეანეებისგაღმა ტერიტორიებისა და ხალხების დამონება-დაკაბალების ციტადელი შეიქმნა. ნებისმიერი ექსპანსიონისტური იდეა სწორედ აქ იდგამდა ფეხს იმ განსხვავებით, რომ მათ ერთ ნაწილს დასავლეთ ევროპის მოწინავე ერები და ქვეყნები ახორციელებდნენ, მეორე ნაწილს კი აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე დიდი სლავი ხალხი — რუსები. ცნობილი ისტორიული ფაქტია, რომ ეკატერინე მეორის ეპოქა რუსული ექსპანსიონიზმის ვარდობის ხანა იყო.

ზღვისგაღმა ტერიტორიების დაპყრობას მეფის რუსეთიც შეეცადა. აღსანიშნავია ალიასკისა და კორეის მაგალითები. რუსეთმა ისინი ვერ შეინარჩუნა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სხვებთან შედარებით ძლიერი საზღვაო სახელმწიფო არ იყო და შესაბამისად ტოლს ვერ უდებდა მათ ზღვისგაღმა ტერიტორიების ათვისებასა და დაპყრობაში. თავის დროზე ასეთ სისუსტეს და მისგან რუსეთისათვის გამომდინარე უარყოფით შედეგებს კარგად გრძნობდა პეტრე პირველი და დღენიადაგ ამ პრობლემის გადაჭრაზე ზრუნავდა. რუსეთის საზღვაო სისუსტე ნათლად გამომჟღავნდა მის მიერ ახალი ტერიტორიებისათვის წარმოებულ და წაგებულ საზღვაო ბრძოლებში. რუსეთმა ალიასკა ვერ შეინარჩუნა იმიტომ, რომ ნამეტანი შორეული ოკეანისგაღმა ტერიტორია იყო და ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაკარგავდა, უფრო სწორად, მასზე ძლიერი წაართმევდა ძალით. ამიტომაც იყო, რომ სულ დაკარგვას, თანაც გარდუვალ სამხედრო საზღვაო მარცხს ალიასკისათვის ალექსანდრე მეორემ მისი გაყიდვა ამჯობინა. მაგრამ, აბა, გავიხსენოთ შემთხვევა, — რომელი სახმელეთო ტერიტორია დაუთმია რუსეთს საბოლოო ჯამში? და თუ დაუთმია ერთ ბრძოლაში, მეორეში ან მესამეში აუცილებლად კვლავ არ დაუბრუნებია, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ იარაღის, ძალის შემწეობით. უკვე XVIII საუკუნიდან საქართველო ამ სახმელეთო ტერიტორიათა ორბიტაში შედიოდა ყოველთვის და 1801 წლის ანექსიის შემდეგ ჩვენი ხელახალი დაკარგვა რუსეთს გულს არასოდეს უფონავდა, სწორედ ასეთი დიდმპყრობლური განწყობილების შედეგი იყო, რომ მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში სამიოდე წლით მოპოვებული დამოუკიდებლობა ისევ მალე დაგვათმობინეს.

წარსულის ერთი საგულისხმო ფაქტიც გვინდა აღვნიშნოთ. ერი, რომელიც დიდი იყო ტერიტორიით, მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, უფრო კი მოსახლეობით მრავალრიცხოვანი, მრავალ მიზეზთა გამო ყოველთვის უჩნდებოდა და უვითარდებოდა დამპყრობლური აზროვნება, ექსპანსიონისტური სულისკვეთება. ასეთ შემთხვევებში, როგორც იტყვიან, რაოდენობრივი პოტენციალი გადადიოდა თვისობრივში. ეს უკანასკნელი კი სხვა მეზობელი პატარა, ანდა, შედარებით ნაკლებ განვითარებული ერებისათვის და მათი ქვეყნებისათვის ზოგჯერ საბედისწეროც გამხდარა. აქედან გამომდინარე, რუსეთის ადგილზე ინგლისელები, გერმანელები, ესპანელები ან იაპონელები რომ ყოფილიყვნენ, რა თქმა უნდა, არც ისინი შეელეოდნენ ასე ადვილად საქართველოს და მის მსგავს რუსეთის ირგვლივ, ან შორიახლოს მცხოვრებ პატარა ხალხებს. ისინი ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში ხელყოფდნენ მათ სუვერენიტეტს. რაღა შორს წავიდეთ და, დღესაც გვხვდება ამის აშკარა ანაქრონიზმები. იგივე ამ დიდ ერებსა და ქვეყნებს დღესაც მრავალი პატარ-პატარა კუნძული და ცალკეული ტერიტორიები გააჩნიათ თავიანთ მფლობელობაში. მაგრამ დღესდღეობით იშვიათად თუ ვინმე ცდილობს მეტროპოლიებში მათთვის სრული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მიცემას. ეგ კი არა და, თუ საჭიროდ მიიჩნიეს მეზობლად, ან ოკეანეს გაღმა მდებარე დიდ ქვეყნებში, არად დაგიდევენ გრენადის, პანამის, ფოლკლენდის, ახლა კალედონიისა თუ შრი ლანკის სუვერენიტეტს. ჩვენთან ამის მაგალითი ადრე უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია იყო, ამ ცოტა ხნის წინ კი ავღანეთი.

იმის გამო, რომ ოკეანეს გაღმა მდებარეობდა ამერიკული კოლონიები ინგლისისათვის, მთელი ლათინური ამერიკა — ესპანეთისათვის, ინდოჩინეთი — ჰოლანდია — საფრანგეთისათვის, ამ მთავარი გეოგრაფიული გარემოების გამო მათ ყველა ეს ტერიტორია დათმეს ან დაკარგეს. საქმე იმაში იყო, რომ შეუძლებელი ხდებოდა ამხელა. და ასეთ სიშორეზე კოლონიების მართვა, სისტემატურად საზღვაო და სახმელეთო ექსპედიციების, ჯარების გაგზავნა, მათი და კოლონიური მმართველი აპარატის შენახვა. ერთ მშვენიერ დღეს ყველა ეს ოკეანისგაღმა ტერიტორიები და ქვეყნები უნდა გათავისუფლებულიყვნენ და აკი ასეც მოხდა.

მაგრამ მრავალრიცხოვანმა რუსმა ერმა ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ფარგლებში, რომელშიც რუს და სხვა ხალხებს მიწები და ტერიტორიები სამეზობლოდ ჰქონდათ, თავის მპყრობელობაში შეინარჩუნა მეზობელი, შედარებით დიდი და პატარა ერები. კავკასიონის ადგილას სხვა წყალგამყოფი რომ ყოფილიყო, მაშინ რუსეთი საქართველოს ან ვერ დაიპყრობდა და თუ დაიპყრობდა, დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა. ცნობილია, რომ რიგ ომებში რუსეთმა თურქეთი მრავალჯერ დაამარცხა XVIII-XIX საუკუნეებში, მაგრამ მისი დაპყრობა ვერასდიდებით ვერ შესძლო, თუმცა ამისი უდიდესი სურვილი ჰქონდა. იგივე მანძილი, რაც რუსეთს თურქეთისაგან ზღვით აშორებდა მრავალჯერ იქნა დაძლეული აღმოსავლეთის სახმელეთო მიმართულებებით.

ტერიტორიების უშუალო შეხება ან მეზობლობა საგრძნობლად აადვილებს დიდი ერის დამპყრობლური წადილის განხორციელებას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს ლ. ტროცკის ინდოეთის დაპყრობისა და არაბეთის ზღვაზე გასვლის გეგმაც კი ჰქონდა შემუშავებული და სათანადო სამზადისსაც იწყებდა. ლამანშისა და ჩრდილოეთის ზღვის დაბრკოლების გამო ჰიტლერმა ვერ შეძლო ინგლისის დაპყრობა, თუმცა, სამ კვირაში დაამარცხა სამხედრო პოტენციით ინგლისის თანაფარდი საფრანგეთი. თავის მხრივ, გერმანიამ ბრძოლები წააგო ჩრდილო აფრიკაში, წინა აზიაში, სირია-მესოპოტამიაში, ვინაიდან ეს ტერიტორიები გერმანიისაგან რიგი ზღვებით იყო დაშორებული. ერთ დროს ასევე ზღვამ შეუშალა ხელი ნაპოლეონს ინგლისის დაპყრობაში და მანვე ამავე მიზეზით ვერ შეინარჩუნა ფრანგული კოლონია ლუიზიანა ამერიკის კონტინენტზე.

ამრიგად, საქართველოს უბედობა ის იყო, რომ მტერ-მოშურნეთაგან ჩვენ ზღვებითა და ოკეანეებით არ ვიყავით გამიჯნულნი. შავი ზღვა უბრალოდ გვერდით გვეკვრის, მაგრამ იგი არავისაგან არ გვმიჯნავს. ანკი ზღვიდან უშუალოდ ვისგან უნდა დაგვეცვა თავი? ჩვენ ხომ ყოველთვის ხმელეთიდან გვესხმოდნენ ხოლმე.

ზღვა, ტბა თუ მდინარე ბუნებრივი წყალგამყოფია ქვეყნების, ერების, ხალხების. აბა, დავაკვირდეთ მსოფლიოს რუკას — რამდენ სახელმწიფოსა და ერს საერთო თანხმობით აურჩევია ზღვები და დიდი მდინარეები ბუნებრივ მიჯნებად, რომლებიც შემდეგ სამართლებრივად, მათ შორის საერთაშორისო სამართლებრივადაც, საჯაროდ აღიარებულან. პლანეტის ოთხივე კონტინენტზე ათობით სახელმწიფო დაითვლება, რომლებსაც საზღვრები დიდ მდინარეებზე და ტბებზე გაუდით. მაგალითად, დუნაი ევროპაში შვიდ სახელმწიფოს მიჯნავს ერთმანეთისაგან, მდ. მეკონგი — ექვს სახელმწიფოს ინდოჩინეთში, მდ. რეინი — ოთხ სახელმწიფოს ევროპაში, მდ. მარიცა — სამ ქვეყანას ბალკანეთში, მდინარე რიო-გრანდე ნახევარზე მიჯნავს მექსიკას ამერიკისაგან, ოთხი დიდი ტბის რაიონი მდ. წმინდა ლავრენტის გაყოლებაზე მიჯნავს ამერიკას კანადისაგან, ორ-ორი ტბა მიჯნავს ალბანეთს საბერძნეთისაგან და იუგოსლავიისაგან და ა. შ.

ზღვები და დიდი მდინარეები საქართველოს ორი-სამი მხრიდან რომ გვრტყმოდა, ისე, როგორც, თუნდაც ჩვენსავით მცირერიცხოვან ერებს, — ბერძნებს, პორტუგალიელებს, დანიელებს, ალბანელებს, ნორვეგიელებს, შვედებს, ისლანდიელებს და კიდევ სხვებს, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის, ანდა დამოუკიდებლობის მიღწევის შანსები, ალბათ, ბევრად დიდი გვექნებოდა, უკეთეს შემთხვევაში კი კარგა ხნის სუვერენული სახელმწიფო ვიქნებოდით.

აშკარაა, რომ საერთო ტერიტორიის ქონა მნიშვნელოვნად აჩქარებს ერის, მით უმეტეს, პატარა ერის დაპყრობა-დაკაბალების საქმეს დიდი, ანდა ეკონომიკურად ძლიერი ერებისაგან. ჩვენს შემთხვევაში ბრალი მხოლოდ რუსეთის, ანდა ირან-თურქეთის ექსპანსიურობაში კი არაა, არამედ ჩვენს გეოგრაფიულ მდებარეობაშია. რუსების ადგილას ანალოგიურადვე, შეიძლება ოდნავ ცუდად, ან კარგად მოქცეულიყვნენ ესპანელები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, ფრანგები და სხვები. რუსეთისაზე ნაკლებად მძიმე როდი იყო პორტუგალიური, ჰოლანდიური, გერმანული, ინგლისური თუ სხვა მეტროპოლი ქვეყნების კოლონიური უღელი ლათინური ამერიკის, ინდოჩინეთის, მთელი აფრიკის, ქვეყნებისა და ხალხებისათვის.

დღეს ხშირად ისმის მენშევიკური მთავრობის კრიტიკა იმის თაობაზე, რომ თავისი უნიათო, არაორგანიზებული და სიმტკიცეს მოკლებული მოქმედებით ვერ შეინარჩუნა ქვეყნის დამოუკიდებლობა. არადა, ამ დროს ქვეყნის ხელისუფლების სათავეში რა და რომელი ძალაც არ უნდა ყოფილიყო, ვერ შეინარჩუნებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, ვერ შეაკავებდა მძლავრობას ჩრდილოეთიდან. საქმე იმაშია, რომ 1921 წლის დამდეგისათვის სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაკაჟებულ წითელ არმიას ვერავითარი წინააღმდეგობა ველარ აკავებდა. ამ არმიის მიერ ტერორიზებული იყო მთელი ევროპა და აზიის დიდი ნაწილი. ტერიტორიების მეზობლობამ ხელი შეუწყო იმ მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას, რომ წითელი არმია საქართველოში ხუთი სხვადასხვა მხრიდან შემოიჭრა. ის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი კი, რომელიც გააჩნდა დამოუკიდებლობის გზაზე ახლად ფეხადგმულ საქართველოს, არანაირად არ ეყოფოდა რკინის ასეთი ნიაღვრის შეჩერებას, მით უმეტეს, მის უკუგდებას. ხომ ცნობილია, რომ ამ დროისათვის წითელ არმიას უკვე მთლიანად დამარცხებული ჰყავდა ადმირალი კოლჩაკი, ატამნები კრასნოვი და დუტოვი, გენერლები იუდენიჩი და ვრანგელი, გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმია, თეთრპოლონელები და სხვ. უფრო მეტიც, ჩვენი ოკუპაციიდან სამი-ოთხი წლის შემდეგ წითელმა არმიამ და ჩეკას ნაწილებმა ფრუნზესა და ბუდიონის მეთაურობით ერთიანად მოსრეს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი შუა აზიის ხალხების წინააღმდეგობა. მსხვერპლი აურაცხელი იყო. ბუდიონის ხსენებაზე დღესაც კი კანკალი უვარდებათ ხოლმე აქაურ აქსაკალებს. ტერიტორიების მეზობლად, გვერდით მდებარეობის გამო საბჭოთა ხელისუფლებამ, ასევე ძალის შემწეობით, კვლავ შეიერთა დასავლეთი და აღმოსავლეთი ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი, ზღვისპირეთი.

ამრიგად, ჩვენთვის, ქართველებისათვის საბედისწერო გამოდგა გეოგრაფიული ფაქტორი. ჩვენი ხვედრი გაიზიარა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ძალით შეყვანილმა ათობით ერმა და ეროვნებამ, მათ შორის ბალტიისპირეთისა და ბესარაბიის ხალხებმა. საბჭოთა კავშირში მცხოვრები ბევრად პატარა ეთნიკური და ლინგვისტური ჯგუფები ამ ფაქტორის მსხვერპლნი შეიქნენ. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, რომ არა საქართველოს ასეთი გეოგრაფიული მდებარეობა, ჩვენ დიდი ხანია დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო ვიქნებოდით. მაგრამ ვინმემ ისე არ უნდა გაგვიგოს, თითქოს ჩვენ ვემდუროდეთ თავად იმ მიწას, წყალს, მთასა და ბარს, სადაც ოდითგან ქართველები ცხოვრობენ. უბრალოდ, იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენმა სიახლოვემ, მეზობლობამ სტეპისა და სივრცის ერთან, რუსებთან, განაპირობა ჩვენი მასზე დიდი ხნით მიჯაჭვა.

ყოველივე ამის მიუხედავად, მთელს მსოფლიოში საკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრების კვალობაზე, უკვე დადგა ის დრო, როდესაც გეოგრაფიულმა ფაქტორმა ერთხელ და სამუდამოდ ამოწურა თავისი თავი. ამ ფაქტს აღიარებს მთელი ცივილიზებული მსოფლიო, სწორედ ის ერები და სახელმწიფოები, რომლებიც წინა საუკუნეებში თავად უყრიდნენ საფუძველს სხვა ხალხებისა და ქვეყნების დაპყრობას, დაკაბალებას, საერთოდ, კოლონიურ სისტემას.

ამას იქით გეოგრაფიული ფაქტორი აღარ შეიძლება იყოს ერთი ერთის მეორეზე გაბატონების საფუძველი. როგორც არ უნდა სიახლოვეს იმყოფებოდნენ ერები ერთმანეთთან, დიდნი თუ პატარანი, ძლიერნი თუ სუსტნი — ეს არ უნდა იყოს ერთის მეორეზე ამაღლების, დაწინაურებისა თუ სხვა უპირატესობის მოპოვების საფუძველი. საქართველოსაც დღევანდელი ძნელბედობის ჟამს, ალბათ, ამის იმედი უნდა ჰქონდეს.

შემდგომ, ძალიან გვიან, უკვე ბანაკში, ომის წლებში, შინსახკომის ერთმა ყოფილმა დიდმა მოხელემ, რომელიც 1940 წელს დააპატიმრეს, ნათელი მოჰფინა იმას, რაც მე გადამხდა 1938 წელს. თურმე სრულიად საიდუმლო ინსტრუქციის ძალით პატიმრების საგანგებო რეჟიმზე გადაყვანა (ე. ი. ცემა-ტყეპა, ტანჯვა) უნდა ეწარმოებინათ პატიმრის მიერ პირველი გვარის დასახელებამდე. უკეთუ ეს გვარი დაემთხვეოდა გამომძიებლის ხელში მყოფ სხვა ჩვენებას, კერძოდ, დამსახელებლის ჩვენებას იმის შესახებ, რომ მან სწორედ თქვენ ჩაგითრიათ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა. თქვენი დანაშაული ლოგიკურად დასაბუთებულად ითვლებოდა. წინასწარ ვისიმე გვარის კარნახი გამომძიებლისაგან ინსტრუქციით სრულიად დაუშვებელი იყო. ის, ვინც მე განმიმარტა ყოველივე ეს, დაპატიმრებამდე კამენეც-პოდოლსკის შინსახკომის საოლქო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა. ამიერკავკასიის შინსახკომშიც ემუშავა იქამდე რამდენიმე წელს. მან დასძინა:

— დავით *სერგეევიჩ! თქვენი იღბალი, რომ იმ ღამეს ოვიანის და არუშანოვის გარდა კიდევ სამი მუშაკი დაგესწროთ. იცოდეთ, „ჩვენს ძმას ჩეკისტს“ თქვენი ისე არ ეშინოდა, როგორც თავისივე თანამშრომლებისა. ისინი მოწმენი გახდნენ, რომ არუშანოვმა დაარღვია ინსტრუქცია და თქვენ წინასწარ გიკარნახათ თარხანიანის გვარი. შესაძლებელია ოვიანს ამ პატარა „დარღვევისათვის“ ყურადღებაც არ მიექცია, სამი უცხო პირი რომ არ დასწრებოდა ამ ამბავს. ისიც უნდა დავუმატო, — განაგრძო მან, — თქვენ დიდ რისკზე წახვედით, როდესაც ორ სომეხ შინსახკომელს განუცხადეთ, რომ თქვენ სამარცხვინოდ მიგაჩნიათ, „დაშნაკი“ აღიაროთ „ნათლიად“ თქვენს კონტრრევოლუციურ საქმიანობაში. ეს ძალიან ძვირად დაგიჯდებოდათ თქვენ, როგორც ქართველს, ისევ ის სამი მოწმე რომ არ გყოლოდათ გვერდში. როგორც ხედავთ, — დაამთავრა მან სიცილით, — ასეთ „თანაშემწე მობურთალეებს“ ყოველთვის როდი უნდა ემდუროდეს კაცი. ამ სიტყვებმა უნებურად გამახსენა ჩემი ერთ-ერთი დამბურთავებელი, „დინამოს“ კაპიტანი, რომელიც 1938 წელს ლ. ბერიას განკარგულებით დახვრიტეს, რადგან მან უარი განაცხადა პატიმარი ქალის ცემაზე.

მაგრამ ეს ყველაფერი გვიანდელი ამბავია: ახლა კი დავუბრუნდეთ ჩვენს თხრობას.

ვიმეორებ, იმ დღეს საკანში ვერავინ ახსნა ღამის დაკითხვის ასე კეთილად დამთავრება.

გადიოდა დღეები. მე არ მეძახდნენ. პროფესორ კ-ს შემდეგ ჩვენგან კიდევ ორი პატიმარი წაიყვანეს. სამაგიეროდ ახალი „სტუმარი“ გვეწვია, ვინმე ა-ძე, ახალგაზრდა, ტანადი, შავგვრემანი ვაჟკაცი, რომლის გარეგნობა, როგორც შემდეგ მივხვდით, სრულიად არ შეეფერებოდა მის ცბიერ და გარეწარ ბუნებას. ეტყობა, დიდი ჭკუის პატრონი არ იყო და „შინაური ჯაშუშის“ როლს კარგად ვერ ასრულებდა. მისმა ნაამბობმა პირველივე წუთებში ეჭვი დაგვიბადა. მან გვითხრა: „უკვე ოთხი დღეა, რაც ცალკე საკანში ვარ გამომწყვდეული, წყლისა და პურის ამარაო“. მაშინ, როდესაც პირი ერთი დღის გაპარსულს უგავდა, შიმშილისა არა ეტყობოდა რა. მან წამოაყენა თეორია, უმჯობესია დანაშაულის აღიარება, თუნდაც უსაფუძვლოდ, „ისე ხომ მაინც არ გაგვიშვებენ აქედან, მუშტი-კრივს მაინც ავიცდენთო“, ა-ძე არ მოგვეწონა. საკანში შემოგზავნილი იყო უთუოდ (იმჟამად საკანში ა-ძის გარდა სამნი ვიყავით). პირზე აღვირი დავიდეთ. მხოლოდ „ნეიტრალურ“ საგნებზე ვლაპარაკობდით.

მარეობაში ჩამაგდეთ: თქვენ არ მენდობით და მტრად მთვლით: როგორც ეტყობა, არც კონტრრევოლუციური ორგანიზაციები მთვლიან თავისად, რადგან არავის არ გაუნდვია ჩემთვის თავისი საიდუმლოება და სამუშაოზე არ მიუწვევივარ. მაშ ვისლა ვყოფილვარ მე: „არც მიწისა ვარ, არც ცისა“, — გარიყული და უქნარა.

კეკელიამ გაიცინა და შემაწყვეტინა.

— ვინ გეუბნებათ, თარხანიანი აუცილებლად დაასახელეო? ვინც გინდათ ის დაასახელეთ, ვისთანაც თქვენ გქონდათ ანტისაბჭოთა ლაპარაკი, ან ვინც რომელიმე კონტრრევოლუციური ლიტერატურა მოგაწოდათ და გაჩვენათ, ან თუ ანტისაბჭოთა ანეგდოტი გითქვამთ სადმე.

ჩემთვის აშკარა იყო, რომ გამოძიება ჩიხში მოექცა და ახლა ცდილობდნენ ჩემი დაპატიმრების მატებოდა. უმრავლესობა ქვის იატაკზე იწვა.

საკანში უამრავი ნაცნობი და უფრო მეტი ჩემთვის ცნობილი ქართველი ინტელიგენტი დამხვდა: ანტიკური ლიტერატურის გამოჩენილი სპეციალისტი, პროფესორი გრიგოლ წერეთელი, თბილისის მიტროპოლიტი ვარლამი (მახარაძე), ცნობილი ვექილი სერგო ყორყოლიანი, კეთილშობილებითა და წესიერებით აღსავსე ეკონომისტი კოტე სუმბათაშვილი, დარბაისელი და განათლებული დ. პიპინაძე და სხვები.

პროფესორი გ. წერეთელი მამაჩემის კოლეგა იყო, ს. ყორყოლიანი შორეულ ნათესავად მერგებოდა, კ. სუმბათაშვილთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. ალბათ ამიტომ საგრძნობლად შემიმსუბუქდა მდგომარეობა. მთავარი კი ის იყო, რომ აღარ მესმოდა ღამღამობით გულშემზარავი წი-

**დავით გორგაძე**

# მოგზაურობა ჯოჯოხეთში

ვით). პირზე აღვირი დავიდეთ. მხოლოდ „ნეიტრალურ“ საგნებზე ვლაპარაკობდით.

თითქმის ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ოვიანთან დამიძახეს. მე აღარ მაწუხებდნენ. დანარჩენებს რამდენჯერმე მოუხდათ დაკითხვაზე ყოფნა და ა-ძის გარდა, დასისხლიანებული ბრუნდებოდნენ უკან. ა-ძემ განაცხადა, რომ მან სცნო თავი დამნაშავედ და აღარას ერჩოდნენ.

ერთ დღეს, ნაშუადღევის ორ საათზე მეც გამომიძახეს. ამჯერად სულ სხვა ოთახში მოვხვდი ვინმე ვ. კეკელიასთან. მას შორიდან ვიცნობდი, დედამისი ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა.

კაბინეტში მის გარდა არავინ იყო. ფანჯრები ღია იყო დატოვებული. კორიდორიდან ცემა-ტყეპის ხმა არ ისმოდა.

კეკელიამ მაგიდასთან დამსვა. ღიმილით მომიკითხა. ყველაფერი ეს უჩვეულო იყო ჩემთვის და ისევ პროვოკაციის შიშმა შემიპყრო. ჩემი პირველი კითხვა ცოლშვილის და დედის ამბავს ეხებოდა. კეკელიამ დამამშვიდა — „მათ არა უჭირთ-რა, მხოლოდ შენი ჯავრი აქვთო. რატომ არ იძლევი ჩვენებას, არა სჯობს, მცირე სასჯელს დასჯერდეო?“

არც მუქარა, არც მუშტი, არც რევოლვერის ხელში ტრიალი. ერთი სიტყვით, ნორმალური დაკითხვა. ამ პირობებში რა მათქმევინებდა სიცრუეს. მე ასე მივმართე კეკელიას: — თქვენ ხომ ქართველი ხართ, თბილისში გაზრდილი. რად გინდათ დამაკავშიროთ ვიღაც თარხანიანთან. ეს ხომ სრული შეუსაბამობაა. ნუთუ თქვენ თვითონ გჯერათ, კიდეც რომ მქონოდა სურვილი კონტრრევოლუციონერთა ბანაკში გადასვლისა, სხვას ვერ მოვნახავდი ჩემთვის უფრო ახლობელსა და ავტორიტეტულ ადამიანს?! მერე მე ორჭოფულ მდგო-

გასამართლებლად რაიმე, თუნდაც მცირე დანაშაული მეკისრა, რომ გამოძიება დაემთავრებინათ და ძსჯავრი დაედოთ. მაკვირვებდა მხოლოდ ის, რომ დღისით გამომიძახეს და კვლავ ცემა-ტყეპა არ დაიწყეს.

ამის მიზეზი ისევ კამენეც-პოდოლსკის შინსახკომის საოლქო სამმართველოს უფროსმა ამიხსნა 1942 წელს. მან განმიმარტა, რომ ჩემს მიმართ დაკითხვის „საგანგებო რეჟიმი“ მოხსნეს სწორედ იმ დღიდან, როდესაც მე უნებურად „გავეცი“ ჩემი გამომძიებელი არუშანოვი მის უფროსთან, და თარხანიანის გვარის წინასწარი კარნახი „დავწამე“. ოვიანი იძულებული იყო ამ ზომისათვის მიემართა, თუმცა საკუთარი სურვილის წინააღმდეგ; ბევრი მოწმე იყო საიდუმლო ინსტრუქციის დარღვევისა. მაგრამ თუ ასეა, რატომ ცდილობდნენ მაინც ჩემს გამტყუნებას?

ამის პასუხი მე უფრო გვიან მივიღე, ორმოცდაათიან წლებში, როცა უკვე თავისუფალი ვიყავი და ჩემი რეაბილიტაციის საკითხი ირჩეოდა სასამართლოში. გავეცანი 1937-1938 წლების საქმეს. გამოირკვა, რომ თარხანიანს წამების ქვეშ დაუსახელებია ოთხმოცდაათზე მეტი კაცის გვარი, მათ შორის ჩემიც, რომლებიც მას „ჩაურთავს“ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. ეს საქმე „გაუხსნია“ შინსახკომის დიდ მოხელეს, ბახჩო ქობულოვს, რომელიც ასეთი დიდი ორგანიზაციის მხილებისათვის ლენინის ორდენით დაუჯილდოვებიათ და სამსახურეობრივი იერარქიის შემდეგ საფეხურზეც წაუწევიათ. ხოლო თუ ჩემს მიმართ თარხანიანის ჩვენებას სიყალბედ ჩათვლიდნენ და მე გამათავისუფლებდნენ, მაშინ საერთოდ საეჭვო გახდებოდა თარხანიანის ჩვენება სხვების მიმართაც და თვით ბ. ქობულოვის მიერ „გახსნილი საქმის“ საკითხიც, ამიტომ, ბ. ქობულოვის ყველა ხელქვეითი — ოვიანი, არუშანოვი, კეკელია — ცდილობდნენ როგორმე გაეფორმებინათ ჩემი „დანაშაული“, თუნდ ძალიან მცირე, და ამრიგად, რუსები რომ იტყვიან, ბოლოები წყალში ჩაემალათ.

მე, რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მაშინ არ ვიცოდი. ვიცოდი მხოლოდ, რომ კეკელიაც სიცრუის მაძიებელი იყო და მოითხოვდა ჩემგან ყალბ ჩვენებას. არც იმ დღეს და არც შემდეგ დაკითხვებზე არაფერი დაუწერიათ. მაგიდაზე ქაღალდის დასტა ხელუხლებელი რჩებოდა. რაც მათ უნდოდათ, მე არ ვამბობდი, რასაც მე ვამბობდი, ისინი არ წერდნენ.

გავიდა კიდევ ორი თუ სამი კვირა. ერთ მშვენიერ დღეს ნივთებით გამომიძახეს და მანქანით ქალაქის (ორთაჭალის) ციხეში გადამიყვანეს, ე. წ. „გამოძიების ქვეშ მყოფ პატიმართა კორპუსში“. გამოთხოვებისას საკანში მყოფმა ამხანაგებმა ერთხმად მომილოცეს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მათავისუფლებდნენ, რადგან არავითარი წერილობითი ჩვენება არ მქონდა მიცემული. მეც ამ მგზრა, მაგრამ მწარედ მოვტყუვდი.

ორთაჭალის ციხის დიდ საკანში, სადაც მე შემიყვანეს, ასორმოცამდე მეტი პატიმარი დამხვდა. საწოლების რიგები კი ოცდაათს არ აღე-

ვილ-კივილი, ცემა-ტყეპის ხმა, ლანძღვა-გინება, გასალეების სისხლის გამშრობი ტრიალი.

ყველას, ვინც საკანში ვიყავით, ამა თუ იმ ბრალსა გვდებდნენ ანტისაბჭოთა საქმიანობაში. გ. წერეთელი ფაშისტად და ჯაშუშად მონათლეს, მიტროპოლიტ ვარლამს ათეული „ცოდვა“ აღმოუჩინეს, კ. სუმბათაშვილს „მონარქიზმის“ აღდგენის ზრახვებს სწამებდნენ, დ. პიპინაძე და ს. ყორყოლიანი მენშევიკებად მიაჩნდათ. ეს უკანასკნელი ოდესღაც თურმე ნამდვილად იყო მენშევიკების პარტიაში, პარლამენტის კვესტორადაც იმუშავა 1918-1920 წლებში, მაგრამ რა შორს იყო იმჟამად ეს ყოველივე მისგან.

საკმარისი იყო ჩემი ამბავი მომეთხრო, რომ ერთხმად „დაშნაკად“ გამომაცხადეს და ხშირად ჩემს მიმართ ოხუნჯურ გამოხდომებსაც ჰქონდა ადგილი. ალბათ ამით უნდა აიხსნას ის სიყვარული და თითქმის მონური მორჩილება, რომელიც გამოიჩინა ჩემს მიმართ ერთმა 17-18 წლის ქურდბაცაცა ავლაბრელმა არმენაკ ზ-იანმა, რომელსაც მეზობლებმა, როგორც ქურდს, ვერაფერი დააკლეს და კონტრრევოლუციური მოღვაწეობა დასწამეს, *რომ თავიდან მოეცილებინათ. „მე ტროსტისტი ვარ?“ სერიოზულად ეკითხებოდა ყველას არმენაკა. „ვაა, სადაური ტროსტისტი ვარ, ტროსტი თავის დღეში არ ჰქონია არც მამაჩემს სედრაკას, და არც პაპაჩემს გარეგინას“. არმენიკას მორჩილება ჩემდამი გამოიხატა იმაში, რომ ყოველდღე ზურგის მასაჟს მიკეთებდა. ძალიან დახელოვნებული იყო ამაში. თურმე მამამისი მექისე ყოფილა თბილისის ერთ-ერთი აბანოში და შვილსაც შეუთვისებია მისი ხელობა.

იმჟამად ბევრი იყო სატირალი და სასაცილო ერთსა და იმავე დროს. ტრაგედიას კომედიის სამოსელი ეცვა ხშირად. განა შეიძლება არ გაეცინოს ადამიანს, როდესაც უმწიკვლო, სპეტაკ მეცნიერს პროფესორ გრ. წერეთელს ჯაშუშობა დასწამეს, ან მშვენიერ ქართველს კ. სუმბათაშვილს — რუსი „მონარქისტობა“. ეს ისეთივე ბოდვა იყო, როგორც ჩემი „დაშნაკობა“ ან არმენაკას „ტროცკისტობა“.

ორი თვე დავყავი იმ საკანში. ჩემი მდგომარეობა იმით განირჩეოდა დანარჩენებისაგან, რომ ჩემს გარდა ყველას გამოძიება დასრულებული ჰქონდა, დაკითხვის ოქმები — გაფორმებული, და ახლა სასამართლოში გამოძახებას ელოდნენ.

ჩემი საქმე კი ფორმალურად არც დაუწყიათ, თუმცა, თორმეტჯერ თუ თოთხმეტჯერ „დამკითხეს“ შინსახკომის შიდა ციხეში, მაგრამ ყოველგვარი დაკითხვის ოქმების შეუდგენლად. საერთო აზრით, მე ვითვლებოდი განთავისუფლების ერთადერთ კანდიდატად საკანში. ყველა რაღაცას მაბარებდა, ყველა მთხოვდა მათი ახლობლების ნახვას და მოკითხვის გადაცემას.

ადამიანი ყველგან ადამიანია. ჯოჯოხეთშიც ალბათ ადამიანად რჩება, თუ ის ადამიანია. განა ჰკითხა ამის თაობა გრ. წერეთელს, რომელმაც შიდა ათეულ წლის ასაკის შემდეგ გაუძლო 1937-1938 წლების კოშმარს და მაინც შეინარჩუნა სულის სიმტკიცე და გონების სიმახვილე.

იმან წამოიწყო სწორედ საკანში ლექციები, ჰომეროსის უკვდავ ქმნილებებს მოკლე მეცნიერული კომენტარებით და ახსნა-განმარტებით. ეს იყო ნამდვილი [illegible] ლში. დიდი მადლიერების გრძნობით განვიმსჭვალეთ ყველანი მზრუნველი და თავისი საქმით გატაცებული მეცნიერის მიმართ.

გრ. წერეთლის მაგალითს მიბაძა ს. ყორყოლიანმა, რომელმაც ჩინებული ენით, საინტერესოდ მოგვითხრო 1912-1913 წწ. კიევში ჩატარებული ბეილისის პროცესის შესახებ — ყორყოლიანი იმ დროს სწავლობდა კიევის უნივერსიტეტში და ესწრებოდა ამ პროცესს.

არანაკლებ საინტერესო იყო სუმბათაშვილის ნაამბობი მისი საფრანგეთში ცხოვრების წლებზე.

მეც შევძელი ჩემი წვლილის შეტანა და საქართველოს ისტორიიდან ბევრი რამ მოვუყევი ამხანაგებს, რაც მე ვიცოდი. თუმცა, პროფესიით ისტორიკოსი არა ვარ, მაგრამ მამაჩემის ბიბლიოთეკის წყალობით ბევრი რამ მახსოვდა ჩვენი წარსულიდან საინტერესო და საგულისხმო. ერთი სიტყვით, გრ. წერეთელმა სადღესასწაულო აგვიშალა ყველას და ციხის კედლები „დაგვამსხვრევინა“.

უკვე ზამთარმა მოაწია, როდესაც საკნიდან ციხის საგამომძიებლო კამერაში გამომიძახეს. ჩემი დასაკითხად ორნი მოსულიყვნენ: ვ. კეკელია და ვინმე გაბუნია. კეკელიამ ოჯახის ამბავი გადმომცა, ერთხელ კიდევ მირჩია, მეცნო თავი დამნაშავედ, სასჯელის შესამსუბუქებლად, და როცა მე კვლავ კატეგორიულად უარი განვაცხადე, ამოიღო პორტფელიდან სუფთა ქაღალდი და ასე მომმართა:

— რა გაეწყობა, თუ ისევ ჯიუტობ, საკუთარ თავს დააბრალე, რაც მოგელის. დავიწყოთ ოქმის წერა.

სიმართლე უნდა ითქვას, ვ. კეკელია ზუსტად იწერდა ჩემს პასუხებს, ოქმი სულ ორ გვერდზე დაეტია. თუმცა, კეკელია თითქოს წინა დაკითხვებზე არ მაკავშირებდა თარხანიანთან, ოქმის ოთხი კითხვიდან სამი კითხვა სწორედ თარხანიანს ეხებოდა. „ეტყობა სხვა რამე საბრალდებო მასალა ჯერ ვერ მოუნახავთ“ — გავიფიქრე მე. ოქმის შინაარსი, როგორც მახსოვს, ასეთი იყო:

**კითხვა:** გამოძიებას ხელთ აქვს ჩვენება ვინმე თარხანიანისა იმის შესახებ, რომ თქვენ მან 1937 წლის აპრილში ჩაგითრიათ ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში.

**პასუხი:** არავითარი ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში ან ჯგუფში მე არავის არ ჩავუთრევივარ.

**კითხვა:** გაფრთხილებთ, რომ ცრუ ცნობისათვის თქვენ სასტიკად აგებთ პასუხს სახელმწიფოს წინაშე.

**პასუხი:** განმეორებით და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არც თარხანიანს და არც ვინმე სხვას ჩემთვის არ მოუცია რაიმე ასეთი წინადადება. რაც შეეხება კერძოდ თარხანიანს, მე ის 1929 წლიდან არ შემხვედრია და არაფერი ვიცი მის შესახებ.

**კითხვა:** რითი ხსნით თარხანიანის ჩვენებას თქვენს შესახებ, თუ კი, როგორც თქვენ აცხადებთ, ის ცილისწამებაა?

**პასუხი:** ძნელია მაგაზე პასუხის გაცემა. ისე კი, იმ ხუთი თვის განმავლობაში, როდესაც ერთად ვმუშაობდით, არც ერთ თანამშრომელს არ დაუმსახურებია მას უბრალო ადამიანური სიმპათია და მეგობრული გრძნობა. პირიქით, ხშირი იყო უსიამოვნებები, ყველას მიმართ უხეშობდა, ქედმაღლობდა. მაგრამ ჩემი თანდასწრებით არასოდეს უთქვამს რაიმე ანტისაბჭოთა.

**კითხვა:** იქნებ სხვისი პირით შემოგითვალათ რამე?

**პასუხი:** როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ, მითუმეტეს 1937 წელს. თუნდაც რომ სახელმწიფოს მიმართ არალოიალური ვყოფილიყავი, იმ ერთ ნაბიჯს შეშლილი თუ გადადგამდა.

(გაგრძელება იქნება)

*დასაწყისი იხ. „საქართველო“ № 5, 7.

## საქართველოს სახალხო ფრონტის სამდივნოს განცხადება

საქართველოს სახალხო ფრონტის სამდივნო საქართველოს სახალხო ფრონტის რეგიონებს, დამოუკიდებელ ჯგუფებს და უჯრედების გაერთიანებებს გთხოვთ 1991 წლის 1 მაისამდე წარმოადგინოთ რეგიონების, პირველადი ჯგუფების, დამოუკიდებელი ჯგუფების და უჯრედების გაერთიანების სიები.

სიები წარმოდგენილი უნდა იქნას პირველადი ჯგუფების და უჯრედების გაერთიანებისა და დამოუკიდებელი ჯგუფების მიხედვით. მითითებული უნდა იყოს: სახელი, გვარი, დაბადების წელი, პროფესია, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და სსფ-ში წევრის ადგილი და როლი.

5 მ. 29 აპრილს 14 საათზე ყოფილ პოლიტგანათლების სახლში (დავით აღმაშენებლის 61), შედგება საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა. დღის წესრიგი გამოცხადდება დარბაზის სხდომაზე.

ფასი 50 კაპ.
ინდექსი 66447
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35. ტელ.: 22-16-01.
გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ, საქართველოს
იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საქართველო“
რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი